




ა
ბ
გ
დ
ე
ვ
ზ
თ
ი
კ
ლ
მ
ნ
ო
პ
ჟ
რ
ს
ტ
ც
ძ
წ
ჭ
ხ
ყ
შ
ჩ
ცხ
ცვ
ცძ
ცწ
ცჭ
ცხ
ცყ
ცშ
ცჩ
ცცხ
ცცვ
ცცძ
ცცწ
ცცჭ
ცცხ
ცცყ
ცცშ
ცცჩ

ქართული

№ 9 სექტემბერი 1966 წ.





გოსანო საქართველოსაუ,
 ჩამონხვე გუბედა,
 ისილე შენი საქობლო,
 მიმთიარე გუბედა.
 აღარ ვართ გუბინდელნი,
 ვიქცენით ერთი - ორად,
 ჩამოგვებარდნენ ქაბუნი,
 შინათ, სუნობ არნიე-ქორადა!
 თაჟს სწიზვენ ხესუნისათვის
 უვარილოდით ლომადა...
 და ივერის დიდებს
 ხალოსს აუხნენ მოზადა.
 აღესდექით, უამდე აღებლოდით,
 ნათქვამნი ჩასაქოლადა.

გააქ-გუბედას ლექსიდან „საქართველოს
 სუბე“

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით



№ 9 (182) საქართველო, 1966 წ.

გამოცემის XVI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო
 ჟურნალი






„ვეფხისტყაოსანმა“ ყველაზე ბრწყინვალედ და-
ამტიცა და ნათელყო, რომ რაც უფრო დრამად
ეროვნულია მხატვრული ქმნილება, რაც უფრო
ხალხური და რეალისტურია, იმდენად უფრო წო-
გად-საკაცობრიო და საყოველთაო-სახალხოა. ამის
გამო არის, რომ ჩვენი დიდი ეროვნული განძი
და სიამაყე შევიდა კაცობრიობის ყველაზე საუკე-
თესო, ყველა უძვირფასეს ქმნილებათა საუნჯეში.
სწორედ ამიტომ ჩვენს ეროვნულ ზეიმს მსოფლიო
მასშტაბები აქვს: ზეიმობს საბჭოთა საქართველო,
მთელი თვალგადაუწვდენელი საბჭოთა კავშირი,
მთელი პროგრესული კაცობრიობა და ამით სამა-
რადისო ძეგლს უდგამს პოეტს, რომელმაც საუკუ-
ნების წინ უმღერა სიყვარულისა და სილამაზის
დამკვიდრებას ქვეყნად.

რუსთაველმა თავისი ქმნილებით დამტკიცა, რომ
პოეზია მართლაც სიბრძნეა, ჭეშმარიტების დაღა-
დისია, ხალხის სულიერი წინამძღოლია; იგი ამაზ-
ღლებელია თაობებისა, გზის გამაბრწყინებელია,
იგი დიდი მაცნე და მოციქულია სიყვარულისა და
სიკეთისა, ადამიანური სულის სილამაზისა.
რუსთაველმა უმღერა ყოველივე კარგსა და სა-
უკეთესოს, რაც კი ადამიანს სულით ამაღლებს და
აქეთიღშობილებს, რუსთაველი ჩვენი მასწავლებე-
ლია, ესაა ბრძენთა-ბრძენი და დიდი მეთუფე სიტყ-
ვისა; ესაა ყველაზე დიდი მნათობი ჩვენი პოეზიის
ცაზე, ესაა ჩვენი დიდება და სიამაყე.
მე, როგორც ქართველი პოეტი, ვულოცავ ჩემს
საყვარელ ხალხს ამ დიდებულ დღესასწაულს, პო-
ეტური სიბრძნის, პოეტური სიტყვის ამ დიდ ზეიმს,

რომელიც არის დასტური ჩვენი კულტურის აყვა-
ვებისა, ჩვენი აწმყოს სიდიადისა და ეროვნული
აღორძინებისა. რუსთაველი, როგორც შუქი, ისეა
შემოსული ჩვენი საბჭოთა ადამიანების ზრომასა და
შემოქმედებაში, ბრძოლასა და წინსვლაში.
რუსთაველი უკვდავი და მარადიულია, ისე,
როგორც მისი ქვეყანა, მისი წარმომშობი ქართვე-
ლი ხალხი:
როგორ დატკნება მთების მშვენიება
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება ჩაუჭრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა!

ნიკ. მიჩუხუაძე

საგ. სსრ კ. მარქსის
სს. ხალ. რესპუბლ.
ბიბლიოთეკა






ბიოგრაფიული ლექსიკონი

1899-1966

ახეთები

სულ ცოცხლობენ — არ კვდებიან,
სულ სიკვდილთან
სიცოცხლეზე დავობენ, —
რაც დრო გადის
უფრო მეტად
მალდებათ,
მაცოცხლებელ შუქსა გავფენენ
თაობებს...
მიხეილ ავლივიძე



მცხეთის ბოლოს, საქართველოს
სამხედრო გზაზე, არის პატარა
სოფელი, რომელსაც ძველად სა-
გუდეს ეძახდნენ, ახლა კი წარე-
გავი დაურქმევიათ. იმ სოფელში,
თადარიგის გენერლის დიმიტრი
შანშაშვილის აგარაკზე, ამ ათიო-
დე თვის წინ ერთიმეორეს შეხვდ-
ნენ დიდი ხნის მეგობრები — სა-
ქართველოს სახალხო პოეტი გიო-
რგი ლეონიძე, სსრ კავშირის სახა-
ლხო მხატვარი ანატოლი იარ-კრა-
ვჩენკო და თვითონ მასპინძელი —
გენერალი დიმიტრი შანშაშვილი.
მხატვარი და გენერალი იხსენე-
ბდნენ ლენინგრადის ბლოკადის
მძიმე დღეებს, ბოლო ლეონიძე,

— აქ გადავშალე პირველად დედა-ენა!
ეს სურათი „დროშის“ რედაქციის თხოვნით გი-
ორგი ლეონიძემ გადაიღო პატარძელის ძველი
სკოლის შენობასთან; ამჟამად აქ საავადმყოფოა.

— აი, აქ იდგა ის მერხი, რომელზედაც მე ვიჭექე!
ეს თბილისის 38-ე საშუალო სკოლაა. ძველად აქ
იყო თბილისის სასულიერო სასწავლებელი, სადაც
ლეონიძე სწავლობდა.


როგორც ყოველთვის, სუფრაზე გამართული საუბ-
რის სული და გული იყო. საუბარი ეხებოდა სიყვარ-
ულს, ძმობას, მეგობრობას, იმ წარფელ გრძნობას,
რამაც ერთად შეყვარა ეს ადამიანები.
ამ შეხვედრის დროს იარ-კრავჩენკომ ოთახის კე-
დელზე ნაუცხატევად დანატა გიორგი ლეონიძის
პორტრეტი, რომელსაც აქვე ვხეუდავთ; გიორგიმ
კი იქვე ვაუას სტრიქონები წააწერა:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურცა-ვინ შეგვეცილება

მასპინძელმა უთხრა ლეონიძეს:
— გოგლა, ვაჟა ძალიან მიყვარს, მაგ წარწე-
რას საშუალოდ შევიწახვ... ოღონდ შენიც მიაწე-
რე რამე!

გიორგიმ იქვე, ექსპრომტად წააწერა კედელზე:
მე ვარ კაცი მეომარი,
გული მიგავს გაზაფხულსა,
ვარ დიმიტრი შანშაშვილი,
ვარდი მიტრიალებს გულსა.

დიმიტრის ოჯახში ამ წარწერას უფროსი დედა-
ბა, როგორც სანუკვარ რელიქვიას.



მეოთხედი საუკუნის წინ, საბჭოთა მეცნიერმა, აკად. შალვა ნუცუბიძემ ნათელყო, რომ სახელმწიფო არეოპაგიტული ტრაქტატების ავტორი არის V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე და მოაზროვნე პეტრე იბერიელი. ამ აღმოჩენას ათი წლის შემდეგ, დამოუკიდებელი კვლევის გზით, შეუერთდა ბელგიელი მკვლევარი ერნესტ ჰონიგმანი. ასე ჩამოყალიბდა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგიტის იგივეობის თაობაზე. ამრიგად, არეოპაგიტული წიგნების ავტორის ვინაობა, არსებითად, სადავო აღარ იყო. მაგრამ, როგორც ირკვევა, დასავლეთის მკვლევართა ერთი ნაწილი ანგარიშს არ უწევს მეცნიერებაში მოპოვებულ შედეგებს. ამის დამადასტურებელია ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელსაც ქვემოთ ვაგადაცნობთ.

დასავლეთ გერმანიაში ცნობილი მეცნიერის თ. კლაუერიის ხელმძღვანელობით იხებებდა ვრცელი აკადემიური გამოცემა „ანტიკრონიზა და ქრისტიანობის რეალური ლექსიკონი“ (Realexicon fur Antike und Christum), რომლის 22-ე და 24-ე ნაკვეთებში შეტანილია სტატია „დიონისე არეოპაგიტი“. მისი ავტორია რ. როკი, რომელიც ათიოდე წლის წინათ მოწონებით შეხვდა (ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნითურთ) თეორიას პეტრე იბერიელის ავტორობაზე ფსევდო-დიონისეს თხზულებათა მიმართ. შემოსწავნილ გამოცემაში კი რ. როკი, არეოპაგიტიის სავარაუდო ავტორთა შორის, მესამე ადგილზე ასახელებს პეტრე იბერიელს და თეორიას ამ საკითხზე მიაკუთვნებს მხოლოდ ე. ჰონიგმანს. რ. როკი წერს: „პეტრე იბერიელი, ჰონიგმანის მიხედვით ის დავაპირებულა იოანე ევსუპთან, რომელიც ზუსტად უდრის დიონისეს. იეროსოლემს; ამასთან იეროსოლემის მოსახლენებელ დღეს იგი (ე. ჰონიგმანი) ზუსტად ადგენს იოანე ევსუპის გარდაცვალების დღედ. აქედან — ორმაგი იგივეობა: დიონისე-პეტრე და იეროსოლემ-იოანე. ზუსტად ისე არ ვდგავართ ამ პოზიციაზე.“ (ნაკვეთი 22, გვ. 1075).

ამ ციტატიდან აშკარად გვაინტერესებს არა ის, რომ რ. როკმა სხვადასხვა მიზეზის გამო უკან დაიხია თავისი ადრინდელი დადებითი პოზიციიდან, არამედ ის, რომ თუმა ჰონიგმანის შრომიდან მან კარგად იცის, ამ თეორიის პირველი ჩამომყალიბებელი-გადამტრეელი რომ შ. ნუცუბიძეა (ამის თაობაზე ჰონიგმანი გარკვეულად წერს თავის მონოგრაფიაში), მაგრამ რატომღაც საჭიროდ არ თვლის ამის მითითებასაც კი.

ისტორიამ არა ერთი და ორი შემთხვევა იცის, რომ გენიოსთა ხვედრი ბედ-უკულება დატრიალებულა. ამ მწარე სვე-ბედს ვერც პეტრე ასცდა. ცალკეული მკვლევარები არეოპაგიტიის ავტორად მის აღიარებას ჭერ კიდევ მეცხრე თვალთ უყურებენ. უფრო მეტიც, არა მარტო დასავლეთში, არამედ ჩვენში ზოგ მეცნიერს პეტრე იბერიელის ქართველობაც საცილობლად მიაჩნია.

აღნიშნული გარემოებანი იმავე მივეთითებებს, თუ რაიგე საშურველია ქართული კულტურისა და მეცნიერების მიღწევების ფართო გაცნობა მკითხველთა მსათვის, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ქართულ კულტურას უძველეს დროში აქვს ვაღვშული მზარე ფესვები. მას ოდითგანვე უჭირავს ერთი უპირველესი ადგილთაგანი საბჭოეთში შემავალ უძველეს ხალხთა კულტურებს შორის. საქართველომ თავის წიაღში წარმოშვა არა ერთი და ორი მოღვაწე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქაობრიო კულტურის საგანძურში.

ქართული კულტურის ასეთ ამგვართა პლედარაში საუკუნეთა მანძილზე გამორჩეული ბრწყინავს პეტრე იბერიელის დიადი ფიგურა. პეტრეს სახელი თხუთმეტი ასეული წლის წინათ აკიფდა მსოფლიოს ისტორიის კაბადონზე. იბერიის უფლისწული მურმანა, სამეფო მძევლად ქართლიდან კონსტანტინოპოლს მიტაცებული, კიოსრის სახსლადან გაქცევისა და ბერად აღკეთის შემდეგ პეტრედ წოდებული, ბიზანტიის აღმოსავლეთ რაიონებში — სირია-პალესტინაში ჰქმნიდა მშობლიური კულტურის კერებს — ქართულ კოლონიებსა და ეკლესია-მონასტრებს. მის შემდეგ კი, რაც უკანასკნელ ხანებში გაიკვავა პეტრეს სახელის ირგვლივ, იგი გვევლინება როგორც თავისი დროის საერთაშორისო ავტორიტეტი, შუახუკუნეთა გარეყრუის უსაჩინოესი მოღვაწე, რომელსაც მსოფლიო ასპარეზზე გაჰქონდა ქართული კულტურა და ენა.

მას შემდეგ ათასხუთასმა წელმა ვანვლო. ოცდახუთი წლის წინ პეტრე იბერიელის სამშობლოში — საქართველოში დაიწყო ერთი მრავალსაუკუნოვანი მეცნიერული საიდუმლოებისათვის ფარდის ახდა. ესაა ფსევდო-დიონისე არეოპაგიტის ბურუსით მოცული ვინაობის ამოცნობა, რამაც პეტრეს სახელთან მიგვიყვანა. საქმე ის იყო, რომ მანამდე ყველა ნიშნით V საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ ტრაქტატებს მიაკუთვნებდნენ აღმკანს, რომელიც პირველ საუკუნეში ცხოვრობდა, სახელდობრ, ათენის არეოპაგის (სახამართლოს) წევრს დიონისეს (აქედან — მისი ზედწოდება

„არეოპაგიტი“). ისტორიული სიმართლის აღდგენის შედეგად პეტრეს სახელი კვლავ გაიხმა მსოფლიოში, ცნობილი გახდა, რომ ის არის ავტორი სახელმწიფო-საეკლესიო Corpus Areopagiticum-ისა, რომელიც საფუძვლად დაედო შუახუკუნეთა ფილოსოფიურ აზრს.

ამრიგად, ნათელი გახდა, რომ ამ შესანიშნავი პიროვნების ნაზრედ-ნამოღვაწარი, დიონისეს სახელით რომ იყო ცნობილი, გაცილებით უფრო მიეკუთვნება ქართული კულტურის ისტორიას, ვიდრე საბერძნეთ-ბიზანტიის ანდლებს. აქვე უნდა დავსძინოთ: აშკარად მეცნიერებაში სულ უფრო მტკიცდება შეხედულება, რომ არეოპაგიტულ თხზულებათა ავტორს — პეტრეს მიეკუთვნება აგრეთვე შუახუკუნეების ფილოსოფიის ერთ-ერთი პოპულარული კმნილება „იფინე მიზეზთა“ (Liber de causis).

არეოპაგიტიკა წარმოადგენს თავისებურ შემართებულ ხიდს ანტიკურ სამყაროსა და შუახუკუნეების ეპოქას შორის, რის წყალობითაც იგი გადოქცა შუახუკუნეთა აზროვნების ქვაკუთხედად. ამ ასპექტში კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ რუსთაველის რენესანსული მსოფლმხედველობა შიველ ნიადაგზე არ დაბადებულა.

პეტრე იბერიელს კავშირი არ გაუწყვეტია სამშობლოსთან. მას მიმოწერა ჰქონდა საქართველოში მყოფ დედასთან და ქართლის მეფე არჩილთან, დააარსა იორდანის ქართველთა მონასტერი, სათავეში ედგა ქართულ კულტურულ-ფილოსოფიურ საქმიანობას სირია-პალესტინაში; ის მულამ ატარებდა ზედწოდებულ „იბერიელს“ ანუ „ქართველს“, უცხოეთში მყოფს მულმივი ურთიერთობა ჰქონდა თავის თანამემამულეებთან, კერძოდ, ქართველ „სირიელი მოღვაწეებთან“. როგორც პეტრე, ასევე მისი მასწავლებელი, შემდეგ კი თანამემამული იოანე ლაზი წერდნენ როგორც ბერძნულ, ისე მშობლიურ ქართულ ენაზედაც.


პეტრე იბერიელის სახელთან მტკიცედ არის დაკავშირებული ძველი ქართული კულტურის შესანიშნავი მოღვაწის ეფრემ მცირეს სახელი. ეფრემი იყო სახელგანთი მეცნიერი, ფილოსოფოსი-მოაზროვნე, ისტორიკოსი-მკვლევარი, ნიჭირი პოეტი, ბრწყინვალე მთარგმნელი, გამოჩენილი ფილოლოგოსი, თარგმანის თეორეტიკოსი, ქართული პუნქტუაციის შემქმნელი. ეფრემ მცირეს ლიტერატურულ-მთარგმნელობითს საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფსევდო-დიონისეს ტრაქტატების თარგმანს. მან დარბაისლური, ხატოვანი, ძარღვიანი ქართულით აამეტყველა არეოპაგიტული წიგნები. აღნიშნული თარგმანის ღირებულება კიდევ უფრო ვაიზარდა ახლა, როდესაც მეცნიერებაში დამკვიდრდა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია, რომლის მიხედვითაც ამ შრომების ავტორია ეფრემის დიდი წინაპარი — პეტრე იბერიელი.

ეფრემ მცირეს ქართული ვერსია ერთ-ერთი უძველესი და საუკეთესო არეოპაგიტიკის მრავალ თარგმანთა შორის. ის ნათელ წარმოადგენს გვაძლეებს იმ ეპოქის იდეურ-ესთეტიკურ მისწრაფებებზე ჩვენში. ეფრემის მოღვაწეობის დრო, XI საუკუნე — წარმოადგენს წინარუსთაველურს, წინარენესანსულ ხანას საქართველოში, როდესაც ჩვენი კულტურა და მეცნიერება მიემართებოდა ფართო განვითარების გზით, წარმოებდა მათი გამდიდრება ორიგინალური თუ თარგმნითი თხზულებებით ცოდნის მრავალი დარგიდან, განსაკუთრებით ფილოსოფიიდან.

არეოპაგიტიკის ეფრემ მცირესეული ვერსია, ეფრემის სამწერლო მემკვიდრეობის ეს საუკეთესო კმნილება, ცხრა ასეული წლის განმავლობაში ინახებოდა სიძველეთსაცავებში ხელნაწერების სახით, მისი გამოქვეყნება ადრე ვერ მოხერხდა. და ეს მათინ, როდესაც ქართული მეცნიერების პატრიარქი აკად. ი. ჭავჭავაძე მოგვიწოდებდა: „ჩვენი წნეობრივი მოვალეობაა მისი (ეფრემ მცირეს — ს. ე.) ნაღვაწი და ყველა ნაშრომი ისე გამოვეცით და შევიწავლოთ, როგორც მის დიად სულს, მაღალ გონებას და დრმა სამეცნიერო ცოდნასა და ნიჭს შეეფერებამო.“

აღნიშნული ძეგლის პუბლიკაციის უქონლობამ ისიც გამოიწვია, რომ დასავლეთის მეცნიერებაში უცნობი იყო არეოპაგიტიკის ეს უძველესი და მრავალმხრივ საყურადღებო თარგმანი. ის უცნობი იყო თვით ე. ჰონიგმანისთვისაც, პეტრე იბერიელის ავტორობის თეორიის მეორე წარმომადგენლისათვის. რამდენიმე წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ განახორციელა ეფრემის თარგმანის გამოცემა და ამ გზით მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებრიობას გააცნო ეს ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც ჩვენი ხალხის დიდ კულტურულ წარსულზე მეტყველებს და კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რაოდენ დიდი სტომული მისცეს ჩვენმა წინაპრებმა საქაობრიო აზროვნების განვითარების საქმეს.





შოთა რუსთაველი რუსთაველის მხანებლებთან

მზის მოსახსამი ემოსა,
ვარსკვლავთა ფარჩა შრიალა,
მტკვარს ცისარტყელა დააჩნდა,
ველზე რომ გადაიარა,
მზის მოსახსამი ემოსა,
ვარსკვლავთა ფარჩა შრიალა.

ხელთ ეპურა უცხო ყალამი,
აზიზად ნაზარნიშევი,
თმაში ჭაღარა კი არა,
ენთო ღამე და ვიშერი,
ხელთ ეპურა უცხო ყალამი,
აზიზად ნაზარნიშევი.

ფრთხვინავდა მისი ქურანა,
ყალუზე დგებოდა წამისწამ,
რუსთაველს მისჩერებოდა
სამშობლოს ზეცა და მიწა,
ფრთხვინავდა მისი ქურანა,
ყალუზე დგებოდა წამისწამ.

მხლებლებად გამოაყოლოდნენ
ქართულის ოქრომჭედლები,
ფრთათა სამო ფართქუნით
თავზე დაფრენდნენ მტრედები...
მხლებლებად გამოაყოლოდნენ
ქართულის ოქრომჭედლები.

ციხის ქონგურით მოჩანდა
თამარ ხელმწიფის ხატება
და საქართველოს დროშასთან
ვაჟნი არხვედნენ ხატევართ.
ციხის ქონგურით მოჩანდა
თამარ ხელმწიფის ხატება.


ჩამოხდა შოთა რუსთაველი,
რაში მიუშვა ნებისად,
გაისმა ტაშის გრიალი
კავკასიონის მთებისა.
ჩამოხდა შოთა რუსთაველი,
რაში მიუშვა ნებისად.

ღვარვით მოსკდა თვალთაგან
ბედნიერების ცრემლები
და დაძახა: — რუსთავეო,
შენს ბელტებს შემოვცვლები! —
ღვარვით მოსკდა თვალთაგან
ბედნიერების ცრემლები...

— შემომეგებეთ, მანდ ვინ ხართ,
მე თქვენი შოთა მოვედი,
ალარ შეგონა, ამ მიწას
თუ თვალახელილს ვპოვებდი,
შემომეგებეთ, მანდ ვინ ხართ,
მე თქვენი შოთა მოვედი.

საუკუნენი ეძინა
ძუძუმტეს ჩემსას მიწაში,
ალარ უხილავს მზის თვალი
და გაზაფხულის რიფრაჟი,
საუკუნენი ეძინა
ძუძუმტეს ჩემსას მიწაში.

ახლო რუსთაველებო,
თქვენს დასალოცად მოვსულვარ.



შენ ხარ კოცონი

როცა ნიადვრად კართან მოჭრილი,
ივარყოფას გვიქაღდა მტერი,
შენკენ იშვერდა ხელეხი იშველით
ყველა ქართველი და... საქართველო
როცა არაგვი წამებულს მგავდა
და მეწამული დვიოდა მტკვარი, —
შენ გახსენებდით, როგორც სალოცავს,
და მუხლთ ვიყრიდით წინაშე შენდა;
როცა სიცოცხლე მიგვანდა ჭარცმად
და სიხარულად სიკვდილს ვხახავდით,
მტლედ ედებოდი კაცთა სატკივარს,
ამ წუთისოფელს უხანგრძლივებდი.
როცა გვტკივა და გვწყურია ბოლმე,
შენ ხარ მკურნალი და შენ ხარ წყარო,
რომლითაც ვიცხრობთ დაუმცხრალ წყურვილს,
ხან პეშვებით და ხან წვეთ-წვეთობით.
როცა სიცოცხლე, როგორც უღელი,
გვემძიმება და მივიწვლავნებით,
კრძალვით მოვუხმობთ შენ წმინდა აჩრდილს
და... მწვერვლები გვიღებენ კარებს.
შენ ხარ კოცონი მამულის ჩვენის
და კოცონივით მადლდები მაშინ,
როდესაც არწევს მას ქარბორბალა
ან სიხარული შეაბარბაცებს.
შენ ხასიათი ხარ შენი ხალხის, —
შეუბოვარი, მოუხვენარი,
მაძიებელი, დაუღალავი,
დაცამლეწელი ყველა ბოროტის.
შენ ხარ სინათლე მამაცურ სულის,
რაც ქართველობას მოსდგამს ოდითგან,
ამ ღალიანი მიწის ნაჭერის
ამმალღებელი სამუღამუამოდ.
რა უნდა ვითხრათ შთამომავლებმა?
იხეთი სიტყვა სადღა ვეძიოთ,
რომ შესწვდეს მაინც სიმაღლეს შენსას
და სიყვარულის ჭილღოს ნიშნავდეს?!
აღამიანო, მგოსანო, მტკვლეო,
რაც შენ გვიბოძე და რაც შენ გაეც —
განძი ურიცხვი, აუწონელი —
მოკვდავთ სიმდიდრეს ადემატება!
ღმერთიც რომ იყოს ამ ჭეჟუანაზე,
უთუოდ მასაც გაუძნელდებო
სამაგიერო მოგიზღოს სრულად,
თორემ რას იზამს ეს თეთრი ლექსი!
შენ ხარ კოცონი ქართული მიწის
და კოცონივით მადლდები მუდამ,
როდესაც არწევს მას ქარბორბალა
ან სიხარულის აედვარება,
ვითარც ღღეს — შენი დაბადების ღღეს!

ამ ხარაჩოებს რომ ვუმზერ,
გული სიამით მოცულა...
ახლო რუსთაველებო,
თქვენს დასალოცად მოვსულვარ!

აწრთეთ ქართული ფოლადი,
ვითარ წინაპართ სცოდნიათ,
მისი მახვილი ლეწავდეს
მტერს მოსისხარს და ცოფიანს,
აწრთეთ ქართული ფოლადი,
ვითარ წინაპართ სცოდნიათ!

თქვა რუსთაველმა და თრთოლვით
მშობლიურ მიწას ემთხვია,
(მუხლთ შოიყარა კრებულმაც,
მგოსანს რომ ირგვლივ ეხვია),
თქვა რუსთაველმა და თრთოლვით
მშობლიურ მიწას ემთხვია.

მთავარი სვეტი უკურთხა,
ფუძის პირველი ჩამყრელი,
და მოწიწებით ახსენა
მშობელი ხალხის სახელი...
მთავარი სვეტი უკურთხა,
ფუძის პირველი ჩამყრელი.

მზის მოსახსამი ემოსა,
ვარსკვლავთა ფარჩა შრიალა,
მტკვარზე სანთლები აენთენ,
ველზე რომ გადაიარა,
მზის მოსახსამი ემოსა,
ვარსკვლავთა ფარჩა შრიალა.




მოლანდება თამარისა და რუსთაველისა


მე მაშინ ვნახე ჩვენება,
ტკბილი და გასაოცარი:
ვარძიის ზვიად კედლებთან
იღგენ მეფე და მგოსანი...
მე მაშინ ვნახე ჩვენება
ტკბილი და გასაოცარი.

ჩუმი გალობაც მომესმა
ამო და ანგელოსური,
ვუსმენდი გარინდებულთ,
ლხენა-სიამით მოცულთ...
ჩუმი გალობაც მომესმა,
ამო და ანგელოსური.

კედლებზე ათინათობდნენ
ციური ცისარტყელები,
და ორივე გვირგვინოსანსა
მალღა აღეპურო ხელები...
კედლებზე ათინათობდნენ
ციური ცისარტყელები.

შემდეგ არ ვიცი, არ მახსოვს,
საით წარვიდნენ ისინი.
მხოლოდ კედლებზე ვიხილე
მზის სხივთა მკრთალი ციმციმი,
შემდეგ არ ვიცი, არ მახსოვს,
საით წარვიდნენ ისინი.





ვასილ ქიქნაძე

„ვეფხისტყაოსანი“ სიბრძნის უძირო ოქეანეა. მას აქვს რაღაც ანდამატური ძალა, რომლითაც იწიღავს ადამიანთა გულებს, ყველას სურს მასში იპოვოს თავისი გულისპასუხი, დაინახოს თავისი ესთეტიკური იდეალი, იგრძნოს სითბო და სიახლოვე იმ დიდი პოეტური მზისა, რომელიც აგერ მთელი საუკუნეებია წინ უძღვის ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას.

მაგრამ რუსთაველი ოქეანესავით ღრმაც არის და მღელვარეც; მის სიღრმეებში ქართული ეროვნული თეატრალური წარსულისა და მომავლის ბევრი პრობლემაა განფენილი, მაგრამ ახლა ყველა მათგანს ვერ შევხვებით.

დავიწყოთ იმით, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეების მანძილზე ხელნაწერებისა და ზეიპრისტიკულობის გზით ვრცელდებოდა; ადამიანის განსწავლულობა და კულტურაც ხშირად იმის მიხედვით იზომებოდა, ვინ როგორ იცოდა პოემა. ეს წიგნი იყო ქართველი ხალხის ზნეობრივი ნორმების, მისი პატრიოტიზმის, სიყვარულის, მეგობრობის მორალური კანონმდებელი.

„ვეფხისტყაოსანი“ იმდენად რთული პოეტური ნაწარმოებია, რომ შეუძლებელია მას თავისებური მხატვრული კითხვის ოსტატები არ ჰყოლოდა. სამწუხაროდ, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით თუ როგორ იყო პოემის მხატვრული კითხვა მე-18-14 საუკუნეებში, მაგრამ შეუძლებელია ამ საუკუნეებშიც არ ყოფილიყო თეატრალური საღამოები და ცდები პოემის თავისებური თეატრალური წარმოდგენისა. ისიც საფიქრებელია, რომ რუსთაველის ეპოქაში მაღალი თეატრალური ხელოვნება უნდა ყოფილიყო. ეს იგრძნობა „ვეფხისტყაოსნიდანაც“.

არის საუფძველი ვიფიქროთ, რომ იმუამინდელ სახიობას კარგად იცნობდნენ მახლობელ ქვეყნებშიც. საქართველოში ხომ მოდიოდნენ „ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მადრიბლნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“. თამარ მეფის ისტორიკოსიც გვაუწყებს, რომ მის

ქორწილს მოჰყვა „იგავმიუწვდომელი სიმრავლენი სახიობათანი“.

თამარის ისტორიკოსის ცნობით, თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინებისას „იყო ხმა მგოსანთა და მუშაითთა სახიობა“. „მუშაითობას პატარაობიდანვე ასწავლიდნენ ბავშვებს“ (კ. კეკელიძე). ეს კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნიდანაც“. ქაჭეთის ციხის აღების წინ თათბირზე ფრიდონმა თქვა:


ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი
სამუშაითოდ მზრდიდანი,
მასწავლეს მათნი საქმენი,
მავტუნებდიანი, მწვრთიდიანი;
ასრე ვავიდი საბელსა,
რომ თვალნი ვერ მომიკიდიან,
ვინცა მწვრეტდიან ყმაწვილნი,
იგიცა ინატრიდიან.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს აღორძინების ეპოქასთან. იმ დროის თეატრალური ქმედობანი უსათუოდ ითვალისწინებდა პლასტიკისა და ფიზიკური სხეულის განვითარებასაც. იგი „სილამაზის გრძნობას ჰქმნიდა ხალხის საკუთრებად“ (დიდრო). ამ გარემოებას რუსთაველი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი გმირები გამოირჩევიან რაღაც ღვთაებრივი სიღამაზით.

„ვეფხისტყაოსნიდან“ ისიც ირკვევა, რომ იმუამად არსებობდა სახობო უანროს სახიობაც. თამარ მეფე იყო ქებათა მთავარი ობიექტი. პოემაში ბევრია თინათინის ხობა. სასახლის კარს არ აკმაყოფილებდა მარტო ქართველი მეხობტენი და სხვა ქვეყნებიდანაც იწვევდნენ თურმე. პოემაში ნათქვამია: „ესე თქვა და სინარულით თამაშობა აღიდა, მგოსანი და მუშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა“.

არის სხვა მასალებიც რუსთაველის ეპოქის თეატრალურ სანახაობებზე, მაგრამ ჭერ კიდევ ძნელია კატეგორიული მტკიცება იმისა, თუ რა როლის შესრულება შეეძლო „ვეფხისტყაოსანს“ იმუამინდელ თეატრალურ კულტურაში.

მეტი სინათლე და გარკვეულობა პოემის სცენუ-



რი ისტორიიდან მე-17 საუკუნის შემდეგ. არჩილის თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ პირდაპირ წერია:

მაგრამ თეატროს ავსებენ,
ასპარესსა და კვლავ ველსა,
ბაასობენ და გვადრანს,
ცხელად ხანდახან თვალ-სველსა.

როგორც ჩანს, თეატრში რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებას წარმოადგენდნენ ხოლმე. აქ ხომ აშკარად ჩანს, რომ გაბაასების დროს ასრულებდნენ ნაწყვეტებს რუსთაველის პოემიდან. საგულისხმოა ისიც, რომ აქ რუსთაველი გამოყვანილია, როგორც ქართული ენის ქომავი და ეროვნული სამსახიობო ხელოვნების სიწმინდის დამცველი.

„ვეფხისტყაოსანის“ მხატვრული კითხვა, ინსცენირება და საერთოდ მისი თეატრალური სახიერება ინტენსიურ ხასიათს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს. 1805 წელს გ. ფირალიშვილს შოთას პოემა პიესად გადაუკეთებია („ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“); ამავე ავტორს ეკუთვნის ხუმრობქმედებიანი ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მას საგარეო საქმეთა მინისტრის რუმინაცვიცისათვის წარუდგენია. პიესა არ მიუღიათ კლასიციკლური კანონების დარღვევის გამო.

გ. ერისთავი, როგორც ქართული კლასიკური დრამატურგიის მეთაური და განმაახლებელი თეატრისა, არ შეიძლებოდა არ დაინტერესებულიყო „ვეფხისტყაოსნით“. ოქროპირ ბაგრატიონი თავისი პიესის („ვეფხისტყაოსანი“) წინასიტყვაობაში წერს: „გიორგი ერისთავის სურვილი სულ სხვა იყო, იმას უნდოდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოდგენილიყო, რამდენიც შეიძლებოდა სცენის მიხედვით, იმავე რუსთაველის ლექსებით, და ამით ახალი გვარი რამე შემოეღო“. შეხაძლოა ეს „ახალი გვარი“ „ვეფხისტყაოსნის“ პიესად ქცევას გულისხმობდა. ისიც საფიქრებელია, რომ მწერალი აქ ინსცენირების უანრე მიგვანიშნებს.

1858 წელს მოსკოვში გამოვიდა ბ. ბაგრატიონის ტრაგედია „ვეფხისტყაოსანი“. პიესის ავტორი ცდილობს თავისი ნაწარმოების ლექსი როგორმე მიუახლოვოს, მიამსგავსოს რუსთაველისას. პიესაში შეყვანილია ახალი, რუსთაველისათვის უცნობი გმირები (ფერია, ზორა, ფატმანის ქაჭი და სხვა). ქაჭეთში დამწყვედულ ნესტან-დარეჯანს მისი მოახლე ფერია აიმიედებს (მე-5 მოქმედება), ხოლო ქაჭთა დედოფალი დუღარის სთხოვს ნესტანს — ჩემს ძმისწულს გაჰყევი ცოლადო. ნესტანი გადაწყვეტს



თავი მოიწამლოს, მაგრამ ამ დროს მასთან გაჩნდება ფატმანისა და ავთანდილის მიერ წარგზავნილი გრძელული მონა, რომელიც სასიხარულო წერილს გადასცემს ტყვე ქალს. წერილი იუწყება, თუ როგორ მოიკვლევს გზას ტარიელი. სცენაზე წარსდებიან შემოდიან მხედრები, შემოდის ტარიელი. ამოთოვლის გაღმოსაცემად მ. ბაგრატიონი შენიშნავს: „თუ სურთ შეიძლება ბალეტის მოხმა (ტარიელის ქორწილი)“.

მ. ბაგრატიონის პიესასთან დაკავშირებით დგება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. ტრაგედიის პირველ, მეორე და მეოთხე მოქმედებაში გამოყვანილია ქორო. ანტიკური თეატრის ამ მთავარი ელემენტის შექმრა ქართული სცენაზე შემთხვევითი არ არის. საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ ანტიკური ხანის დრამატურები — ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე. ცნობილი იყო ანტიკური თეატრის პრინციპები. ქოროს გამოჩენა „ვეფხისტყაოსანში“ იმის მანიშნებელიც არის, რომ იგი სწორედ ეპიკური ხასიათის ნაწარმოებებისათვის იყო უფრო ბუნებრივი. რის წარმოადგენაც არ სერხდებოდა, ქოროს საშუალებით იკვებდა მსურბელები. ქორო აუწყებდა სცენის მიღმა მომხდარ ამბებს, გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას მოვლენებისადმი. მ. ბაგრატიონს ქოროს საშუალებით შეხუვდა მსურბელები მისთვის უცნობ სამყაროში, ქორო ეხმარებოდა მოეხსრო წესებისა და ფრიდონის ცხოვრების შესახებ, გასულიყო დრამატული მოქმედების ლოკალიდან და ფართო ასპექტით წარმოედგინა რუსთაველის გმირთა სამყარო.

მ. ბაგრატიონს დიდხანს უმუშავია პიესაზე, თანდათან უფრო გაუმარტივებია და სცენური გაუხდია. ამას გარკვეული ცვლილებები მოუხდენია პიესის კომპოზიციაშიც.

მ. ბაგრატიონის „ვეფხისტყაოსანი“ რომანტიკული ხასიათის მხარეული დრამაა. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ სწორედ გმირული დრამის უანარში ფიქრობდნენ რუსთაველის პოემის ინსცენირებას კ. მარჭანიშვილი და ს. ახმეტელი. მარჭანიშვილმა არა ერთხელ განაცხადა, რომ იგი დიდიხანი ოცნებობდა „ვეფხისტყაოსნის“ დადგმაზე. გაა-

ნაწილა როლებიც (როსტევენი — ა. ხორავა, შ. დამბაშიძე; თინათინი — ვ. ანჭაფარიძე, ალ. ქიქოძე; ავთანდილი — ა. ვასაძე; ტარიელი — გ. დავითაშვილი; ნესტანი — ნ. ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე; ამათი — ელ. დონაური). დაიწყო რეპეტიციები, მაგრამ მალე შეწყდა.

ს. ახმეტელი, როდესაც გმირულ-რომანტიკული თეატრის იდეალზე ლაპარაკობდა, სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ გულისხმობდა უპირველესად. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ის ხასიათებია, რომლებიც ქართული თეატრის ესთეტიკურ იდეალს წარმოადგენდნენ. სულიერი მოწოდებები, ფსიქოლოგიური სიღრმე, რომლითაც ახე გამოირჩევიან რუსთაველის გმირები, ქართული თეატრალური გზების ბევრ საინტერესო პრობლემას აყენებენ. „თუ გმირული თეატრი, — წერდა გ. ქიქოძე — რეალისტური და რომანტიკული ერთხადამიჯვად დროს, — ქართველ ხალხს უფრო უყვარს, ვიდრე რომელიმე ერთ მსოფლიოში, ეს შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ მისი საშობლოს ნათელმა და მაღალმა ცამ მას სიცოცხლე განსაკუთრებულად შეყვარა, ხოლო წარსულის ტრაგიკულმა ისტორიამ განსაკუთრებული საფიქრალი მისცა“.

ქართული თეატრი დიდხანს ეძებდა თავისი ხალხის ეროვნული ტრადიციების შესატყვის თეატრალურ ფორმებს, ეძებდა ყველგან და, რა თქმა უნდა, მას ეძებდა „ვეფხისტყაოსნის“ დადგმაშიც. „ვეფხისტყაოსნის“ სცენურ ისტორიაში არის ბევრი საყურადღებო მომენტი, მათ შორის, ზიჩის მიერ მოწყობილი საღამოები. ქართული კულტურის ამ დიდიმა პატრიოტმა შესანიშნავად დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“. მის ილუსტრაციებს ყველა კარგად იცნობს, მაგრამ შედარებით უცნობია ის ფაქტი, რომ ზიჩი პოემის ცოცხალი ილუსტრაციების წარმოდგენებსაც აწყობდა. მსახიობ-დეკლამატორები მხატვრულად მოფიქრებულ პლასტიკურ მიზანსცენებში ანსახიერებდნენ პოემის გმირებს. ტარიელის როლს გ. შერვაშიძე ასრულებდა, ხოლო თვით რუსთაველს — მამია გურიელი. ზიჩი იყო ამ წარმოდგენების რეჟისორიცა და მხატვარიც (აქვე ვაქვეყნებთ ფოტოებს ცოცხალი სურათებისა, რომლებიც დადგმული იყო ზიჩის მიერ).

ქართულ თეატრს არა ერთხელ მიუშართავს რუსთაველის თემისათვის. „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირების პარალელურად პიესები იწერებოდა თვით რუსთაველზე. ერთი ასეთი პიესა ეკუთვნოდა კ. მესხს. „ივერიის“ (1908 წ. № 259) ცნობით „რუსთაველში“ ავტორმა დაგვიხატა „ჩვენი სახიქადელო მგოსნის შოთა რუსთაველის ყოფაცხოვრება, მისი საზოგადო მოღვაწეობა და მიმართულება, საერთოდ — თამარის ხანა“. გაზეთის აზრით, „ნასკვი დრამისა აზრიანია და სიმართლის მინაგვარია. ზოგ-ზოგი მომენტი კარგადაც არის დახასიათებული“. იმავე გაზეთის შეფასებით, პიესაში „მოქმედება ნაკლებია, მკრთალად არის დახატული მოქმედება სულიერი მდგომარეობა“.

რუსთაველის როლს კ. მესხი ასრულებდა. „კოტე მესხმა — წერდა „ცნობის ფურცელი“ — შესანიშნავად განახსიერა ხალხის გულშემატივარი, მისი მოსარჩლე და მისთვის მეტროპოლი რუსთაველის სახე“.

შემდეგ პერიოდშიაც ხშირი იყო „ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთაველის ხასის თეატრალური წარმოდგენის ცდები.

ქართულმა თეატრმა უნდა ეძებოს ახალი გზები „ვეფხისტყაოსნის“ დასადგმელად. „ვეფხისტყაოსანი“ პიესა არ არის და განსაკუთრებით, თუ რაოდენ ძნელია მისი დადგმა, მაგრამ ჩვენმა თეატრმა მანც უნდა შესძლოს მთელი ძალითა და შთაგონებით გვიჩვენოს რუსთაველის გმირები.

ქართული ხელოვნების ყოველი დარგის ისტორია და დღევანდელი ვითარება მკვლევართა მთელი კოლექტივების შესწავლის საგნად არის გადაქცეული. მაგრამ არის ჩვენი ხელოვნების ერთი დარგი, რომელსაც დღემდე ასეთი ყურადღება არ ექცეოდა. ჩვენ ვლაპარაკობთ ქართველი ლიტერატურისა და ხალხური მომღერლების შემოქმედებაზე. როგორც რევოლუციამდელი, ისე ჩვენი დროის ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე ამ საკითხს, მართალია, მიმდევნა რამდენიმე წერილი, მაგრამ ყველა მათგანი ეპიზოდური ხასიათისა იყო. ვასაგებია, თუ ასეთ ვითარებაში რაოდენ კარგი და სასარგებლო საქმე გააკეთა ლალო გეგეჰკორმა, როცა ხელი მოჰკიდა ჩვენი ლიტერატურისა და მომღერლების შემოქმედების შესწავლის საქმეს.

თავის ავტობიოგრაფიაში ლალო გეგეჰკორი ამბობს:

„სიმღერამ ბავშვობიდან გამიტაცა. დედას ყოველ კვირას დაგვავდი მარტვილის მონასტერში და იქ ვალაობს ვისმენდი. აგერ, უკვე ოთხმოც წელს მივალწე და ახლაც, იმ დღეებს, იმ წარმტაც და მომხიბვლელ სიმღერებს რომ გავისხენებ, ერთნეტელი დამივლის ხოლმე“.

პატარა ლალო ჯერ სენაკის სასულიერო სასწავლებლის გუნდში მღეროდა, შემდეგ კი, 1898 წლიდან მარტვილის სასულიერო სემინარიის მოწოდება გუნდში. მარტვილს სიმღერა-გალობის უძველესი ტრადიცია ჰქონდა. მთელი საქართველო იცნობდა აქურ მგალობელ-ლოტბარს თეიმურაზ გეგეჰკორს, უფრო ადრე კი აქ მოღვაწეობდნენ პეტრე გეგეჰკორი და, როგორც მაშინ ეძახდნენ, მასწავლებელთა მასწავლებელი დიმიტრი ჭალაგანიძე. მათ შთაუწერავს პატარა ლალოს უღრმესი სიყვარული მუსიკისადმი.

მომდევრო წლებში ლალომ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ის არც ამ წლებში ჩამოშორებია საყვარელ საქმეს — მუსიკას. მისი მასწავლებლები იყვნენ კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე და კოტე ფოცხვერაშვილი. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლალო თბილისის აკადემიური გუნდის სოლისტი გახდა; ამ გუნდს კ. ფოცხვერაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხვადასხვა გუნდებში ყოფნის დროს ლალო გეგეჰკორმა დიდი ძალი მასალა დააგროვა იმ ადამიანთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ქართული ხალხური სიმღერის დაცვისა და განვითარების საქმეს. ამ ოსტატებს მიუძღვნა ლ. გეგეჰკორმა სამი წიგნი საერთო სახელწოდებით „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ (I წიგნი დაიბეჭდა 1954 წელს; II — 1958 წელს, III — 1966 წ.). აქ ორმოცდათერთმეტი ქართველი ოსტატია წარმოდგენილი, ძნელია ყველას ჩამოთვლა, მაგრამ გაიხსენეთ თუნდაც მარტო სანდრო კავსაძის, ძუკუ ლოლუას, ავქსენტე მებერლიძის, ვ. სიმონიშვილის, მ. კავსაძის, კ. პაჭკორიას, რ. შელეგიას, მ. თარხნიშვილის და სხვათა სახელები და ნათელი გახდება, თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელი იყო შესწავლა იმ დავალებისა და ამავსისა, რაც მათ დასდეს ჩვენს მუსიკალურ ფოლკლორს.



წინა სამ წიგნში ლალო გეგეჰკორს ეს დიდი თემა არ ამოუწერავს და ამიტომ არც მუშაობა შეუწყვეტია. ამჟამად მან გამოსაცემად მოამზადა მეოთხე წიგნი, რომელშიც ოცამდე ლიტერატურისა და მომღერლის შემოქმედებითი პორტრეტებია წარმოდგენილი; უდაოა, რომ ეს წიგნიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხური მუსიკის უფრო ღრმად შესწავლას.





„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები
 პოემის ძველი ხელნაწერებიდან





„არა მხაზველი ცაბაძევენი“ შაჰ-საფი-თაჰა

...ამ მხაზვარი დახატა მისი უტიკისეი მხობლი, ვიხობლი „ვეფხისტყაოსანში“, ვინისი სიგე აქ მუთისებზე მხატვრის, თუ სხვ. ტექსტის რომელ ადგილზე უნდა ჩაერთო ილუსტრაცია. „ვეფხისტყაოსანში“ დასურათების ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის არ არის არც ერთი, რომელიც მხატვრის ხელში არ შეიპოვებ და თავისი სიკეთით ამ წიგნისად მის ადგილზე არ ადებდეს. ხელნაწერებში ჩვენ არსებული სიტყვების დასურათების უმეტესი ნაწილი მხატვრის ხელში არ არის.



„ვეფხისტყაოსანი“
საინტერესო ბაზოზმები



„ვეფხისტყაოსანი“ დასურათების
საინტერესო ბაზოზმები

შორათვეს, — ვახტანგ ურბნისი,
უანგარიზში, ულდევი.



მე-19 საუკუნის ბოლის, ცნობილია უნგრელი მხატვრის მიხაი სიჩის შესრული „ვეფხისტყაოსანი“ შესრულებული ილუსტრაციები.

ამ საქმე ეკუთვნის დიდი წარმატებები ჩვენს დროში მხატვარი, როცა „ვეფხისტყაოსანი“ დასურათების უკეთესობა, ან უკეთესობა, ს. კობულაძის, ი. თოძის, 1935 წლიდან, მომდევნო წლების მანძილზე, ზეფხისტყაოსანი მხატვრებს მიეძღვა არა ერთი ქართველი მხატვარი, რომელიც მუშაობდნენ „ვეფხისტყაოსანი“ დასურათებზე.

ამ უნდა შევხედოთ დასურათების ერთ ასეთ ცდაზე: იგი სანდოების, როცა რაიმე მხატვრული ასეუბნის, ასევე ტექსტის მუსიკალური გახატვის მხარეა ეს დასურათება სანდოების წიგნის მთლიანი მხატვრული ვარიანტების თავსაზრისით.

ინა დინოგორცე-გრიგოლია უნდა ჩამდინებო წელი მუშაობს „ვეფხისტყაოსანი“ დასურათებზე. მხატვარი კული სურათების ვეცნი კიბის ტექსტის და შეერთა საინტერესო ადგილებზე მუშაველა ებიუს მხატვრული კულტურა, შექმნა ეს-კიკები, ციკლები, მოიპოვა მასალი ტიპისა და ჩამდინებისთვის, აქუსურისა და ინტერგრირისთვის: იგი დღესაც განაგრძობს მუშაობას ამ მიეზან.

ეს დასურათება თავისებურად არის გახატული: კომპოზიციური ენის მხატვრული და მხატვრული უნარების, აქედნე აქ ვიხატული მოტივებულზე. გმირის სილუეტი ფიქსირებული უნდა, პერსონაჟი წარმოსახვას მხატვარი სურდულად უნდა ჩვენი ხალხის გმირულ იდეებს.

ურჩილი ამ ვერადებზე იხებება რეალიზმის ტიპის ტიპისთვის „თითონის ვეცნება“. ტიპობისთვის მხატვრის სურათების აღმდებს მუღის აზლი დავითის აზლით, რომელიც რატორული ქატიკის შესაბამისად სურათის შედარული ტექსტები მომდინ აზრი ადვანის მხატვრის მთელ ნაშუფურას კომპოზიტორების ბიოგი მზივი კ სურათის მათესებებს ძელი ქართული მხატვრობის ტრადიციებთან. ეს არის უნა-თული ხანტეგის და ახალი მხატვრის, ფრულდობა კომპოზიციის, პერსონაჟის დსკოლოგობის დასაბიება და მათი ნაშუფურას რეალიზმის ებიუს კულს მხატვრობის პერსონაჟების დერ-თხანტეგის რიცხვობა — უკეთესად ეს ამ ტიპის მხატვრული აზრი, სინტეზი და არ-ტიტული გამოსახვლობი ადვანტენ.

ინა დინოგორცე-გრიგოლის „ვეფხისტყაოსანი“ ახალი დასურათება უნდა მხატვრული წარმატება და იგი ვეცნებებს ამ მხარე მხატვრის შექმნილები გრდობის და საქმისმე უნარობული დამოკიდებულება, არამდე შექმნილები ჩამდინის და ვეცნის ახალ ასექსუს, რაც თვისივად შეტად სინტეზის და მხატვრულია.

შალვა კახიძის
ხელოვნების დამსურებელი მოღვაწე.



ეროვნული
გალერეა

ეუბი სამუხრამბელი

ეკატერინე ბაღდავაძე

ავტობუსს სულზე მივუსწარი. პირველ რიგში დავჩქევი, ბატარა გოგონას გვერდით და ფიქრში ტელეფონისტ ქალთან ჩხუბი განვაგრძე.

ერთი კვირაა სატელეფონო ხაზი არ მუშაობს, ბიბლიოთეკა და კლუბი გამოკეტულია. მაღაზიები გამოყიდვების სურვილით იღებთ, თეატრში თქვენ არ დადისართ, გართობა თქვენ არ იცით. სად ცხოვრობთ, რომელ საუკუნეში? რამ დაგასაწყლათ ახე? რამ დაგაბერავათ?

აქამდე ვერც კი შევნიშნე ავტობუსის ნაცნობი შოფერი. ახლა დავინახე შავ ხალათში გავსებული მისი განიერი ბეჭები. მიმავიწყდა ტელეფონისტი ქალი და შოფერს დაავტკერდი. ათი დღის წინ, ამავე ავტობუსით თბილისამდე ერთად ვიმგზავრეთ, მაშინაც საჭეს უჭდა ეს თმაშევერცხლილი მოხუცი, გაუპარსავი წვერით, ოდნავ მოკუტული თვალებით. იმ დღესაც, როგორც ახლა, ცაზე ბრილა მზე იდგა, წვავდა ხეებს, ბალახს, ადამიანს. მანქანა მთებში მიდიოდა, მაღალ აგრესიულ-დაგრესიულ მთებში არ იყო ნიავის ჭაჭანება. სიცხისაგან დუღდა წყალი რადიატორში, თითქოს სულთმობრძავით ისრჩობოდა ავტობუსი. სიცხე ახრჩობდა ადამიანსაც.

შორს, ძალიან შორს, შავი წერტილი გამოჩნდა. წერტილი თანდათან გაიზარდა, ვადიდა და მანქანას გაუსწორდა ნამგალივით წელში მოხრილი მოხუცებული ქალი. მან ქვემოდან ამოხედა ავტობუსს. წლებს გაერუჭა, დაეჭმუჭუნა მისი სახე, ბებერს შუბლზე ეყარა წინ შეკრებილი თმა; მის ქვემოთ, მწვანე, სიცხისაგან დაღლილი განაწამები თვალები იცქირებოდნენ.

შოფერმა გულგრილად ჩაუქროლა დედაბერს. გამოვიკრდა, მახსოვდა, წინა კვირას ახე არ იქცეოდა, მანქანას უჩერებდა მოხუცსაც და ახალგაზრდასაც. შოფერს შევხედე, მან თითქოს იგრძნო ჩემი დაუინებელი ცქერა.

— გამარჯობა შეილო, ეგრე ჩუმად როგორ შემოიპარე, რომ ვერ შევნიშნე? ვერც მიცანი განა? — თქვა მან და გაიღიმა.

— როგორ არა, ძია პეტრე, სიონელბზე ვარ გაჯავრებული და ფიქრებში გავერთე, — მოვუბოდიშე მე.

— დახატეთ ზღვა? — მკითხა მან და გაიღიმა.

— დავხატე მთებში ჩახვეული სიონის ზღვა, მის ნაპირებზე აშრიანებული ტყე, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები, ზღვაში მოხრილი იალქნიანი ნავები, კატერები. აი, შეხედე! — ვუთხარი მე და ვუჩვენე სურათი.

შოფერს კვლავ გაეღიმა.

— მერე ეს ხომ ტყუილია? — თქვა მან და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.



ფოტო თარხან ბონზაძისა

ავტობუსი გაუჩუხდა ახლავს

— რად არის ტყუილი? სურათს ახე დავარჯევი „სიონის ხვალინდელი დღე“.

— ზო, ეს სხვა საქმეა! — ჩაიციხა მან.

ავტობუსი მიმქროდა. გზად მიმავალი ბიჭი მანქანას ყვირილით დაედევნა.

— ფხვით გაიხიერნე! — გასძახა შოფერმა. — ოხე კი, წიღან დიდი ცოლვა ჩავიღინე. საცოდავი ბებერი, ცეცხლი მოეკიდება ამ პაპანაქებაში, მაგრამ რა ექნა? რომ დავავიანო? ყველაფერი წყალში ჩაიყრება! — შოფერმა მოიხედა და უკან მჭდომ მგზავრებზე მანიშნა.

ერთი ქალი იყო, მერე კაცი. ორივე ახალგაზრდა. ქალს თავი ხელებში ჩაერგო, ავტობუსის ძვიდეს დაურდობოდა და კვნესოდა, მის გვერდით იჭდა გოგონებული კაცი და არ ინძრეოდა — რა დამართა? ახალგაზრდა კაცს მკლავზე ხელი შევავლე. მან თავი ჩაჰკიფა, შუბლზე ჩამოფხატული ქუდი კიდევ უფრო ჩამოიფხატა, სახე დამალა და ჩაიბურტყუნა: — ახა, რაი ვიცი!

— ორბევდები არიან, — სიტყვა მიაშველა შოფერმა, — ქალს მუცელი ასტიკინია, სიონში ჩამოუყვანიათ. საავადმყოფოში ზეზია-ქალი არ დახვედრიათ. სხვა რა გზაა, თბილისში უნდა ჩავიყვანათ.

შევხედე ფერწახსულ ქალს და ხევე იმ ტელეფონისტს მოვსდექი. ჭანდაბას გართობა, უთეტაროდაც ვახსებებს კაცი, უტიტელფონოდაც გავა როგორმე იოლად, მაგრამ ექიმი? სად დახეირნობს ამ დროს? სად არის?

ქალმა კვნესას უშატა. შოფერმა სიჩქარეს. გზაზე მგზავრები ხელს უწევინ, გაჩერდნენ, შოფერი თითქოს ვერ ხედავს მათ. ქალი უკვე დაუფარავად ტირის, გვერდით მჭდომმა კაცმა პაპიროსი ამოიღო და ასანთი გაჭკრა.

— რას შერები კაცო? შეწუხდება, დედაკაცი! — შეუძახეს ერთმანდას მგზავრებმა ახალგაზრდა კაცს და პირიდან პაპიროსი გააგდებინეს. უცხად მაერის ქალის შემზარავმა კვილმა გაჰკეთა. — დედაი, დედაი, დედაი!

— მთიელო, ხომ ხედავ რა დღეში გყავს ცოლი? ტკბილი სიტყვა მაინც უთხარი ბიჭო, არადა, გადმოხე აქეთ! — ლამაზ-ლამაზი ქალი მიუჭდა ახლა გვერდით შეწუხებულ ქალს, წელზე ხელი მოხვია და დაუყვავა:

— არა გრცხვენია, გოგო! რა გატორებს? ყვედებიო! მაგინაგან ბარე შეიძქერ ყვედებოდი, აკი დავრჩით ცოცხლები მეც და ჩემი შეილებიცა. ჩავიღეთ თბილისში, ისეთ ექიმთან მიგიყვანო რომ... დავითი ჰქვია, გვარად ბიბლიეზილი. ის არის ჩვენი მხსნელი...

ქალი ისევ კვნესოდა. მანუგეშებელი კი განაგრძობდა:

— მერე გაიზრდება შენი ბიჭი, მოვლენ ბატონები და მაშინ მე თვითონ მოგიყვან ერთ თმაგათთერებულ, სათვალბიან ექიმს, იმასაც დავითი ჰქვია, გვარად კი კვიტაიშვილია, არ გეშინოდეს არაფრისა.

— ვაი, დედაი! დედაი! — იკივლა ქალმა და ფერდაქარგული, მანქანის საჭურჭელზე გადაესვენა.

— ჭრა, ხალხნო, ახე არ შეიძლება ეს თბილისამდე მომცდელი არ არის, — გაბრკუნდა ვიღაც უკანა რიგში. ისიც ახალგაზრდა ქალი იყო, მკერდზე მიეკრა მთვარესავით გაბადრული ბიჭუნა. ბიჭს იქაური შფოთი სრულიად არ აღეგნებდა, დედის ძმძუს ჭიჭვნიდა სულმოუთქმელად. — ნუ გეშინია, აქა ვარ, — შუა ხნის სახდომიანი ქალი წამოდგა და შეწუხებული ქალის გვერდით ახლა ახალგაზრდად დაიჭირა ადგილი. — ექთანია, ღმერთმა უშველოს! — აჩურჩულდნენ ქალები.

ექთანმა შოფერს გასძახა: — გომბორე, გომბორისაკენ გადაუხვიე! შოფერმა ექთანს გამოხედა:

— ხალხს ჰკითხე შეილო, მე თუ გინდა წყალში გადავარდები!

შევხედე მგზავრებს. თვითეულ მათგანს დაავკვირდი და ვინანე რატომ არა მაქვს თან ფოტოაპარატი, რომ აღვებტელო ყოველი მათგანი — ესოდენ კარგი და კეთილი.



შოფერს სახე გავბადრა. ღონიერი მკლავები საქეს შემოაქედო, თბილისისაკენ მიმავალი გზიდან გადაუხვია და გომბორის გზას დაადგა.

ახლა ყველა ფეხზე იდგა, ჭარბისკაცის გარდა — მის მუხლებზე მშვიდად ეძინა დედის რძით დამთვრალ ბიჭუნას. ბიჭის დედა ახლა თავს ადგა გულშეღონებულ ქალს და ამხნევებდა: ორი ნაბიჯი და დარჩა საავადმყოფომდე, ორი ნაბიჯი, ნუ გეშინია!

— აჰა, მოვედი! — იყვირა ყველამ ერთად. და მე დავინახე თეთრი შენობა, თეთრი შენობა და თეთრხალათიანები. რახან აქამდე მოვადწიეთ, ყველაფერს ეშველება.

პირველი გადმოვხტი ავტობუსიდან, თეთრი შენობისაკენ გავექანდი და მოვრთე ყვირილი.

— გვიშველით, გვიშველით, საკაცე! — მერე უკან მოვიხიდე, საკაცე აღარ იყო საჭირო. ექვს ქალს მკლავებზე გადაეწვინათ გულშეღონებული ქალი და უკვე მოჰყავდათ. მათ თეთრხალათიანები მიეშველნენ. ფრთხილად გალიეს ეზო, სახლის აივანი და საოპერაციო ოთახში შეიყვანეს; და სულ მალე ტირილი გავიგონეთ, ტირილი ჩვილისა; დაიბადა ადამიანი და სამყაროს თავისი მობრძანება შეატყობინა.

საოპერაციო ოთახის კარებთან მგზავრებმა შვებით ამოისუნთქეს და სიცილი დაიწყეს.

— ვაი თუ გოგოა? რა გადაურჩება მთიელს! ტყუბი გოგო ჰყოლია თურმე სახლში, — ჩაიხითხითა შოფერმა და თვალები ეშმაკურად გაუბრწყინდა.

გაიღო კარი და საოპერაციო ოთახიდან ცხვირჩამოშვებული სანიტარი ქალი გამოვიდა.

— ნეტა ვიცოდე, რა გაცინებთ? — გაგვიწყრა იგი, — გოგოა ჩვენ, ყველამ ერთად, მამას შევხედეთ და ავხარხარდით.

გზადაგზა ავტობუსი დაიცალა, თბილისში ჩამოვიდით, დავჩინეთ ორნი. მე და შოფერი — ძია პეტრე.

— გრაფიკით რომელზე უნდა ვყოფილიყავით თბილისში? — შევეკითხე შოფერს.

- ორზე. ახლა ზუთია.
- მერე, არ გეშინიათ, რომ დაგვიანეთ?
- მომხსნიან? — თქვა მან და გაიღიმა.

ჩემი შიში უსაფუძვლო არ იყო. ერთი ძველი ამბავი გამახსენდა და იმან შემაშინა. ეს იყო რვა-ცხრა წლის წინათ. „ნინავის“ რედაქციაში ჩემს მეგობრებთან შევიარე. „ნინავის“ მაშინდელი რედაქტორი ელგუჯა მადრაძე მაგიდას გაბრაზებული უშენდა მუშტებს და გაჩუვიროდა: მოსაკლავია, ეგ იდიოტი, ეგა! იმავე დღეს რედაქტორი სიღნაღში წავიდა.

რა მოხდა?
სადაღო ხანი იყო. ერთ კინომექანიკოსს, რომელსაც სოფელში ახალი კინო-სურათი მიჰქონდა ავტობუსით, გზაზე თეთრხალათიანი ქალი გადაეღობა.

— გვიშველი, შენი ჭირიმე! სინათლე ჩაგვიქრა, დანის ქვეშ ქალი გვიწვიხ. იქნებ მანქანის შუქი მოგვაშველო! — შეივედრა თეთრხალათიანი კინომექანიკოსს.

ამ კაცს ხმაც არ ამოუღია. მაშინვე მოაბრუნა მანქანა, იგი საოპერაციო ოთახის ფანჯრებს მიაყენა და შუქგარი აანთო. მაგრამ ეს სინათლე არ კმარაოდა ოთახის ვასანათებლად. კინომექანიკოსმა ახლა „დინამო“ გამართა და ოთახში ნათურა ააჩახჩახა.

ოპერაცია გაგრძელდა, იმ დამით კინომექანიკოსმა გადაარჩინა ქალი სიკვდილს. მაგრამ კინო? კინო რომ ჩაიშალა სოფელში? გაუდიდელი ბილეთები რომ გაუქმდა? ეს უფრო მთავარი აღმოჩნდა კლუბის გამგისათვის და მაშინვე მოხსნა სამუშაოდან კინომექანიკოსი, მისი საქმე სასამართლოს გადასცა. კინომექანიკოსმა ვერავის ვერ გააგებინა, რომ მართალი იყო, შვიდი თვე უმუშევრად იარა. და აი თბილისში ჩამოვიდა, ელგუჯა მადრაძეს მიმართა. სიღნაღიდან დაბრუნებულმა ელგუჯამ მართლაც რომ სენსაციური ამბავი ჩამოიტანა: გადარჩენილი ქალი აღმოჩნდა იმისი ცოლი, ვისაც შვიდი თვის განმავლობაში კინომექანიკოსის საქმე უჭრაში უღო ჩაკეტილი.

არ მოვეშვი ძია პეტრეს.
რა ვიცი, კაცნი ვართ, უნდა წამოგვეყვამოდ, თქვენს უფროსს ვუამბო დღევანდელი ამბავი. ვუთხრა, რომ პეტრე ტაბატაძე ნამდვილი გმირია. პეტრე ტაბატაძეს არ დაუგვიანია, მან დღეს ორი ადამიანი გადაარჩინა. მაღლობის ღირსია; დღეს რომ მარშრუტი დაარღვია, სწორედ იმიტომ არის მაღლობის ღირსი.

მას გაეღიმა — ეგრე იყოსო, — თქვა მან და თვალები გაუბრწყინდა. მანქანიდან გადმოვიდით და ავტოსადგურის უფროსის კარებს მივაშურეთ.

არ მჯერა მისი, ვის არასოდეს არა სდენია ცრემლები ცხელი, მე ვიცი, ლალი მდინარეც გოდებს, როცა ყინვისგან შებოჭვას ელის.

როგორც მე და შენ, მდინარეც დარდობს, თუმცე იცის დრო-ჟამი მორჩილებს ყველა, რომ გაზაფხული ყინვას გააღწობს, კვლავ ამწვანდება კბოდეზე თხემლა.

როს ძირს ვარდება, დარდობს ფოთოლიც, და უტივილოდ ტოტაც არ ტყდება, ყინვაც, როს დნება, ცრემლი სდის ბროლის, დარდობს ზალახიც, როს ითოშება.

მგოსნებო, გესმით, გულის კანკალით, ძირში მოცული ზალახის გლოვა? განუკურნავი ტკივილი ქალის, შეყვარებულმა რომ მიატოვა?

იცხოვროს ისე — არ გრძობდეს სევდას, ახერხებს, ვისაც არა აქვს გული, არ ჰყვარებია იმას არც დედა, არც საყუთარი შმა დაღუბული.

უგულოდ ყოფნა ამ ქვეყანაზე თურმე ყოფილა ყველაზე ძნელი, თქმა ადვილია — მიყვარს ქვეყანა, უნდა გიყვარდეს შენ მეზობელი.

ჰყვავის კყნელი

როს გაზაფხულზე ჰყვავის კუნელი, მე აღტაცებით ვიშვრო მინდა, ვიცი, ეს ლურჯი ცა სასურველი მუდამ იქნება კრიალა, წმინდა.

როს გაზაფხულზე ჰყვავის კუნელი, მგონია ჰქრება სევდა-დარდები, — თითქოს არც მახსოვს დღეები ძნელი, გადმოფენილან გზაზე ვარდები.

გაზაფხულია, ჰყვავის კუნელი, გენატრებოდა ეს ყვავილები, ავდრის, ქარ-წვიმის და უკუნეთის ჩამაქრობელად გადაშლილები.

თარგმანი ბრიგოლ ცაცხლაძისა.

ვიორუნი მარჯოსთი სუხასთი სოფელად

ნახასულევთან, იქ, სადაც მუდამ სარკმლიდან თვალი მიმწერს მეზობლის, შუა ეზოდან მეზობლის თუთას გადაუწვდია რტო შენს ეზოში; ქარში რბული ხეთა რტოები ფიქრებს შორეულს აღარ მაცდიათ, მხრებზე მაყრიან ცვარს სასოებით, მიწის ოცნება აუტაცნიათ; თითქოს სიმშვიდე დაუფრთხათ ძილში ზღვისპირად მზეზე ფოთლებს უმწეოს და ბალახები წვიმის წადილში

სადაც გვირილებს აკვანს ურწევინ. და ეს მშვენება შორს, ათასფერად, ცისარტყელზედ ედებათ რტოებს, მწვერავს თვალების სათუთი მწერა ქუჩაში ჩუმად მიმავალ პოეტს. დაღაღებს მიწის, მზის უკვდავებით წეცის მზე — დედა საუკუნეთა და, გული ჩემი ქვეყნის ღვთაებრივ სილამაზეში ფოქავს, ნუნეტა!...



არჩილ ყანჩაშვილი თვალს არ აშორებს მომღერალ ქალს. მისი ჩაცმებული მზერა ნინოს აფრთხობს, აწითლებს და თავგზას უბნებს, თუმცა სადღაც გულის კუნჭულში თითქოს კიდევ უხარია ეს გადაჭარბებული ყურადღება.

„ზურია კი არსად სჩანს. არ მოვიდა. კიდევ კარგი, ახლა არ მიყურებს, თორემ ხელად შემატყობდა, რა ჯანდაბაც მემართება!“

...ნინო, მაყვალა და შაქრო მეცხვარეების მგზავრულს მღერიან. სიმღერა დასრულდა. მომღერლები კარავში მიიმალნენ. ხალხი სიმღერის განმეორებას მოითხოვს. ნინომ თავშალი მოიხურა და კარვიდან გავიდა.

— სად მიხვალ, ნინო? — დაედევნა მაყვალა: — ხედავ, ხალხი რა ამბავშია!

ნინო. ზურია კონცერტზე არ მოვიდა. უნდა ვნახო!

მაყვალა. ტყუილად იწუნებ თავს! დაფეთდეს ცოტა, უკეთესია! უფრო შეუყვარდები! მე ჩემს შაქროს ხანდახან ისე ვაწვალე რომ... კაცები ხომ იცი, როგორები არიან. თუ ცოტა არ შეაშინე, თავპატოიეს გაიღებენ!

ნინო. არა, არა, მაყვალა, აქ სხვა ამბავია! (აბა აიღო და წავიდა).

ხალხი არ სცხრება. „მგზავრული, ნინო მასწავლებლო, მგზავრული!“ — მოისმის ყოველი მხრიდან.

სცენაზე რამდენჯერმე გამოვიდნენ მაყვალა და შაქრო, მაყურებლებს თავი დაუკრეს, მადლობა გადაუხადეს.

არჩილი გაოცებულია, სწრაფად წამოდგა, სცენიდან მობრუნებულ მაყვალას დაეწია.

არჩილი. ნინო სად არის!

მაყვალა. მოიტაცეს, ბატონო არჩილ!

არჩილი. ხალხი სიმღერას გეხვეწებათ, თქვენ კი...

მაყვალა. ვითომ ხალხი გედარდებათ, ბატონო არჩილ?!

არჩილი. ენა გააჩუმე! სად წავიდა?

მაყვალა. სადაც უნდოდა. (ჩაივინა და კარავში შევიდა).

ლევანმა თვალი გააყოლა, მერე მიბრუნდა, ხალხს გადახედა. გაიარ-გამოიარა... ზურია კობაიძეს თვალი ვერსად მოატანა. არჩილი მოიღუშა, ერთხანს უგუნებოდ გასცქეროდა სცენაზე გამოსულ მედულუკეებს, მერე შაქროს დაუძახა და ყურში რაღაც წასჩურჩულა. შაქრომ თავი დაუქნია და სადღაც გაქრა.

იქ კი სათიბში, ნინო და ზურია საუბრობენ. ეტყობა, ზურიამ უკვე დაიფიქრა წელანდელი წყენა.

ზურია. თბილისში მეცა მქონდა საქმე. ერთად წავიდოდით...

ნინო. მერე ვინ გიშლის! წამოდი.

ზურია. ყანჩაშვილი არ მიშვებს. უშენოდ აქ არ გამეძლებაო, ბინებში უნდა წამომყვეო... ქალაქში კი დიდი საქმე მიფიქრდება! შენ უნდა მიშველო, ნინო!

ნინო. მითხარი, ბიჭო, თუ რამე შემეძლია...

ზურია. მხოლოდ არსად წამოგვცდეს!

ნინო. (სიცილით). საიდუმლოა? მენდობი?

ზურია. (უბიდან კონვერტი ამოიღო) ეს წერილი პარტიის ცენტრალურ კომი-

ტეტში მიიტანე. მე უნდა წამელო, მაგრამ ყანჩაშვილმა მომისწრო და ცხენიდან ჩამომსვა. ძალიან გთხოვ, ნინო, ქალაქში ჩახვალ თუ არა, პირდაპირ იქ წადი!

ნინო. კარგი, ზური!
ზური!.. როგორ უხარია კობაიძეს, რომ ნინო ასე შინაურულად ეძახის მას...

თივის ბულუღებთან შაქრო გამოჩნდა. ეტყობა, იგი ყურს უდებდა ქალ-ვაჟის საუბრობას.

ზურია. სხვას გავატანდი, მაგრამ...

ნინო. მომეცი, არ დამამძიმებს.

ზურია. თუ ქალი ხარ, კარგად შეინახე.

ნინო. რად მინდა ამდენი გაფრთხილება! პატარა ხომ არა ვარ: ახლა წავალ, თორემ ძებნას დამიწყებენ.

ზურია. მოიცა, ნინო, რაღაც უნდა გითხრა...

ნინო. კიდევ საიდუმლო?!

ზურიამ თავი დაუქნია, ხელზე ხელი მოჰკიდა.

ნინო აირია. სხვა დროს ის ალბათ ზურიას სათქმელს პირს არ აარიდებდა, ახლა კი აღარ უნდა ამ საგანზე ლაპარაკი. აღარ უნდა. რატომ? თვითონაც არ იცის. მაშ რამ მოიყვანა სათიბში? ესეც ვერ გაუტკვევია ახალგაზრდა ქალს. შეიძლება, ზურიას წინაშე რაიმე დანაშაულს გრძნობს და მისმა ალაღმა გულმა გაჩუმება ვერ მოახერხა.

ან იქნებ შეცდა, რომ აქ მოვიდა...

ზურიას ხელი გააშვებინა და სიცილით უთხრა:

— შემეცოდე, ბიჭო! ქალის გულში ამდენი საიდუმლო ერთად როგორ დაეტევა?! ნუ გამიჯავრდები. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ!

ზურია. თბილისში ჩამოვალ, ნინო!

იქ სადღა გამეჩქევო!

ნინო. არ გამეჩქევი... ახლა კი წამოდი, მეორე განყოფილებას მაინც დაესწარი.

ნინომ ალერსიანად ხელი დაუქნია, თავქვე დაეშვა და სანამ თივის ბულუღებს არ მოეფარა, ბაგეზე ღიმილი არ მოშორებია. მერე კი ქალი ერთბაშად ჩაჰქრა, ჩაიფერფლა! და მხოლოდ მაშინ შეეტყუო, რა ძნელი ყოფილა თურმე სიცილ-ხუმრობა, როცა არც გეცინება და არც გეხუმრება.

ნინომ ერთი ამოიხრა და ბილიკზე ჩაიბრინა.

დაღამდა. მინდორზე კოცონები ააბრიალეს. ცეკვა-თამაში გახურდა. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთში არეულა. ცეკვავენ, მღერიან, შორიახლო მოხუცი მწყემსები სუფრას შლიან.

ნინო და მაყვალა ურმის ხელნაზე ჩამომსხდარან და რაღაცას ჩურჩულებენ.

— ნინო, ერთი წუთით! — დაუძახა არჩილი.

ნინო მაშინვე წამოდგა და მისკენ გაეშურა.

სად იყო, სად არა, წრეში ზურია შემოიჭრა, ნინოსა და არჩილს შუა ჩადგა, მკლავები გაშალა და ქალს მიუთამაშა, საცეკვაოდ გამოიწვია.

ნინო შეეყმანდა, ზურია მაინც ვერ გააწვბილა. თავშალი მაყვალას მიუგდო და კობაიძეს საცეკვაოდ გაჰყვა.

— ჩქარი, ბიჭებო, ჩქარი! — გასძახა ზურიამ დამკვრელებს.

შაქრომ თავისი ბარისოდენა ხელისგულეები აღარ დაზოგა, მოცეკვავეებს ისეთი ტაში შეუწთო, მაყვალამ ყურებზე ხელი მიიფარა, არჩილმა კი მწყურალად გადახედდა... შაქრო შეცბა, ტაში შეანელა, ბოლოს სულ გაჩუმდა. მაყვალამ თვალი ჩაუკრა და გაუცინა, ჰკვიანი ბიჭი ხარო.

ცეკვა დასრულდა, ქალმა ზურიას მკლავში ხელი მოჰკიდა, არჩილთან მიიყვანა.

ნინო. შერიგდით, თუ ჩემი ხათრი გაქვთ, თორემ ორივეს დაგემღურებით!

არჩილი. რას ამბობ, ნინო! გასაყოფი რა გვაქვს. მოიტა ხელი!

ზურიამ ხელი უსიტყვოდ ჩამოართვა.

ნინო გახარებულია, რომ ეს ორი კაცი ასე ადვილად შეარიგა. მან ვერ დაინახა, რა თვალებით შეხედეს ერთმანეთს არჩილმა და ზურია კობაიძემ ხელის ჩამორთმევის დროს.

გათენდა. მწყემსებმა ფარა მოწველეს, მერე ცხვარი ხრიხლებში შერეკეს და პარსვა დაიწყეს. აღუღუნდნენ ელექტრონის დუქარდები. ქაფივით სლულს და გადმოდის თეთრი მატყლი ფარდულში გაჭიმულ დახლზე.

*გაგრძელება. იხ. „დროშა“ № 5, 6, 7, 8.

ფარდულის უკან მაყვალა თხას წველის.
პირუტყვი ცმუტყავს, უცხოობს, რძე მიწაზე
იღვრება.

თედო უყურებს, როგორ წვალობს ქალი
და ჩუმად ხითხითებს.

მაყვალა. მოდი, ბიჭო, დამიჭირე ეს
ქაჯი! ხელეზრ დამწყვიტა.

თედო. შაქროს უნდა დააღვივინო?
მაყვალა. ჰო, ექიმმა გამოუწერა.

თედო. რაო, თხის რძე თუ არ მიირთვია,
მოკვდებაო?

მაყვალამ მოგონილი მწუხარებით თავი
დაუქნია.

თედო. მაშ მოკვდეს! არ დაგიჭერ!
მაყვალა. რატომ თედო, რას ემართ-

ლები!
თედო. ვითომ არ იცი?

მაყვალა. (ცისკისით) საიდან მეცო-

დინება, გულთმისანი ხომ არა ვარ!
გზიდან ნაცნობი საყვირის ხმა მოისმა.

მაყვალამ დოქს ხელი დაავლო და ფერდო-

ბზე ამოსულ ავტომობილს მიაშურა. კაბი-

ნიდან თავი გამოპყრო შაქრომ. მაყვალას ხე-

ლში დოქი რომ დაინახა, ერთი კი წამოიკე-

ნესა და იქვე ჩაემხო.

შაქრო. აქ მაინც მომასვენე, გოგო! ამ
უთენია სად იზოვე ეს ჩემი საწამლავი!

მაყვალა. თედომ გამოგიგზავნა. თავს
მიხედე და ქორწილში მალე დამპატიეო!

თედო. რაო?

ქობიდან არჩილი გამოვიდა. მაყვალას
ლოყაზე ხელი მოუთათუნა და მანქანაში
ჩაჯდა.

— ჩვენ მალე დავბრუნდებით. აბა, შენ
იცო, ჩობან-ყაურმას თუ დავგავნებდებ.

მანქანა დაიძრა.
არჩილი. რა ჰქვნი, ბიჭო!

შაქრო. გაუამგებარე, ბატონო არჩილ!
კარგი ადგილები ყველა გაყიდული იყო,

მაგრამ ვიღაც კაცს დავედირე და ბილეთი
გავუცვალე. კარგად მოვაწყვე, თუმცა ახ-

ლა კი ვნანობ!
არჩილი. რას ნანობ, ბიჭო?

შაქრო. ნინოს თქვენთვის არაფერი
უთქვამს?

არჩილი. რა უნდა ეთქვა! შენ რა შო-

რიდან მელაპარაკები?
შაქრო. არც წერილი უჩვენებია?

არჩილი. რა წერილი?
შაქრო. ყველაფერს ვიფიქრებდი, მა-

გრამ თუ ნინო მასწავლებელი ამას დაგიმა-

ლავდა, ეს კი აღარ შეგონა!
არჩილი. შენ რა, წუხანდელი ხომ არ

გამოგყოლია?!
შაქრო. მეცხვარეებმა თქვენზე საჩივა-

რი დასწერეს, ბატონო არჩილ!
არჩილი. საჩივარი? მერე ნინო რა უშ-

აშია?
შაქრო. ის წერილი ნინომ წაიღო თბი-

ლისში. ზურია კობაძემ გაატანა, ცენტრა-

ლურ კომიტეტს ჩააბარეო.
არჩილი. რას ამბობ! აქამდე სად იყა-

ვი, შე სულელი!
შაქრო. რა ვიცოდი, თუ ნინო...

არჩილი. ნინომ შეიძლება არ იცის იმ
წერილის შინაარსი. მოაბრუნე მანქანა,

ჩქარა! ტყავს გაგაძრობ, თუ იმ ქალმა თბი-

ლისში ჩამასწრო!

არჩილ ყანაშვილი იდგა, გაპარული, ლა-

მაზად ჩაცმული და ისეთი მოსიყვარუ-

ლე თვალებით შეჰყურებდა ნინოს, რომ გა-

ოცება, სიხარული, შიში, — ყველაფერი
ერთად აირია ქალის გულში. სანამ არჩილ-

მა ხელი არ მიაშველა, ნინომ ავტომბუსიდან
ჩასვლა ვერ მოახერხა.

არჩილი. თქვენ აქ... საიდან გაჩნდით?
არჩილი. არ მელოდი, ხომ?

არჩილი. არა, მართლა, როგორ ჩამომას-

წარიო!
არჩილი. უნდა გამოგიტყდე, ნინო...

არჩილი. თუ ვინმე კიდევ ამირევდა გზა-

კვალს!
არჩილი. (დაბნეულად) რა მოხდა?

არჩილი. ვერ გავძელი უშენოდ...

არჩილი. არ მინდა... ნუ მეუბნებით, არ-

ჩილ!
არჩილი. ხალხი, საქმე — ყველაფერი

მივატოვე და უკან დაგედევნე!
არჩილი. იქ რას იტყვიან?

არჩილი. ჯანდაბას ყველაფერი. ქალმა
გაღარიაო, სხვა რა უნდა სთქვან!

არჩილი. არჩილ, ნუ გავიწყდებათ, რომ
ქუჩაში ვართ, ხალხი გვიყურებს!

არჩილი. კარგი, ნინო გავჩუმდები...

თქვენი სემინარი როდის იწყება?
არჩილი. პირველი ლექცია ხვალ დილის

ცხრა საათზე გვაქვს.
ამ საუბრის დროს შაქრომ ნინოს ჩემო-

დანი გამოიტანა და მანქანაში ჩადო.
არჩილი. ო, რა კარგია! დღეს მეც თა-

ვისუფალი ვარ...
არჩილი. ცოტა ხანს არა მცალია, ჯერ

სხვაგან უნდა მივიდე!
არჩილი. სად, ნინო, ვისთან? აქი

თბილისში არავინ მყავსო!
არჩილი. ეჭვიანი ყოფილხართ! სულ ასე

ამოწყვეტილი კი არა ვარ!
არჩილი. მე არ გეხუმრები, ნინო! შენ

რადაცას მიმალავ! ქალს მაჯაზე ხელი წაავლო
და თავისკენ მოაბრუნა.

არჩილი. გამიშვით... ხელი ნუ მატყინებ!
არჩილი. მპატიე, ნინო! მე თვითონ არ

ვიცი, რა მომდის! გელის ვინმე? მითხარი
და აქვე მომკალი!

არჩილი. რას ამბობ, არჩილ, ვინ უნდა მე-

ლოდეს!
არჩილი. (თვალეში ჩახედა). ნუთუ ამ

თვალეებს ტყუილი შეუძლია! მაშინ ეს ქვე-

ყანა დასაქცივი ყოფილა...
არჩილის ყოველი სიტყვა თუ გამოხედვა

საგვია ვედრებით, გულწრფელი მღელვა-

რებით, შიშით...
ნინოს ატყვევებს, აჯადოებს ამ ცოტა

უხეში, მაგრამ ეტყობა, მართალი და ვაბე-

დული კაცის აღსარება, მისი გვერდით
დგომა, მისი ყურება... და რომ დაამშვიდოს

და ყოველგვარი ეჭვი გაუფანტოს, ჩანთი-

დან წერილი ამოიღო და აჩვენა.
არჩილი. რა მაქვს დასამალავი! აი ეს გა-

მომატანეს... (არჩილმა კონვერტს დახედა).
— ცენტრალური კომიტეტი, — ხმამალ-

ლა წაიკითხა და გულიანად გაიცინა: — მა-

პატიე, ნინო! მე კი რა არ ვიფიქრე!
მობრუნდა, შაქროს ხელი დაუქნია.

ნინომ ხმა არ გასცა, მაგრამ არც ხელი
გააშვებინა.

ხუთიოდე წუთში ავტომობილი ჩიტადის
ქუჩაზე ავარდა.

ნინო. მოვედით? (მანქანიდან გადისვლა
დააპირა).

არჩილი. მოიცა ნინო, ავერ შაქრო ხე-

ლად შეირბენს და ჩააბარებს. ხომ იცი, ბი-

ჭო, სად არის?
შაქრო. როგორ არ ვიცი, ბატონო!

(ნინოს წერილი გამოართვა და მანქანიდან გადავი-

და. მალე უკანვე დაბრუნდა).
არჩილი. ჩააბარე?

— ჩააბარე, — ცოტა უკმეხად მიუგო
მან და საჭეს მიუჯდა. მანქანა ერთბაშად

მოსწყვიტა ადგილიდან.
არჩილი. რა მოგივიდა ბიჭო.

შაქრო. (უზულოდ). რაღაც არა ვარ კარ-

გად, მგონი, გავცივდი, წუხელ.
არჩილი. შენ ახლა კონიაკი მოგიხდე-

ბა. წავიდეთ თბილისის ზღვაზე.
არჩილი. თუ არ შეწყუხდებით, მე პუშკი-

ნის ქუჩაზე მიმიყვანეთ!
არჩილი. მხოლოდ ერთი პირობით.

ხუთ წუთზე მეტს ნუ გვალოდინებ!
არჩილი. მაგის პირობას ვერ მოგცემთ.

დავრჩები, ძალიან დაღლილი ვარ.
არჩილი. რა ვქნათ, შაქრო, მოვიტა-

ცოთ ეს ქალი?
შაქრო. მოვიტაცოთ.

არჩილი. კაბას მაინც გამოვიცვლი!
არჩილი. რას იტყვი, შაქრო, მოგვწონს

ნინო ამ კაბაში?
შაქრო. მოგვწონს, ბატონო არჩილ!

არჩილი. მაშ მოვიტაცოთ...
ნინო აქ პირველად არის.

იგი მოხიბლული გასცქერის ლურჯად
ჩაგულებულ ზღვას, ლამაზად მოხატულ

იალქნებს, აღმურში გახვეულ ოქროსფერ
გორაკებს...

ნინოს გულს უფორიაქებს ავერ იმ ხეე-

ბის კორომიდან წამოსული მუსიკის ხმა,
ნაპირზე გაფანტული გოგო-ბიჭები, მათი

ჭრელ-ჭრელი საბანაო სამოსელი, მათი
უდარდელი სიცილ-კისკისი, სიმღერა...

აქ ადამიანის გულს დარდი და ვაგება რო-

გორ გაეკარება, აქ ის შეიძლება მხოლოდ
ბედნიერი იყოს, — მეტადრე, თუ გვერდით

არჩილისთანა მოხდენილი ვაყვაცი ვიდგას,
თავს რომ გველება და რით გასიამოვნოს,

აღარ იცის...
ახლა აქ ყოველ სიტყვას განსაკუთრებუ-

ლი ელფერი ეძლევა, ქარაგმითა და იგავით
ივსება.

არჩილმა იცის ეს. მან იცის, რომ ახლა
ყველაფერი მას ეხმარება.

ისინი გაშლილ ვერანდაზე სხედან და სა-

უზმობენ.
არჩილი. მე კი წამოსვლა არ მინდოდა! რა

სულელი ვარ!
არჩილი. ჯერ სადა ხარ, ნინო! ყოველ

შაბათ-კვირას თბილისში ჩამოვალ და იმ-

დენ რამეს გაჩვენებ, ჭკუას დაკარგავ!
არჩილი. ჩემთვის ნუ შეწყუხდებით, არ-

ჩილ! მე სასეირნოდ მაინც არ მეცლებია!

არჩილი. (თვალეში ჩააცქერა). მე
მაინც ჩამოვალ.

არჩილი. (აირია). როგორც თქვენ გენ-


ბავთ...
არჩილი. ცოტათი მაინც არ გაგიხარ-

დება ჩემი დანახვა?
არჩილი. მე ყველა ჩემი ნაცნობ-მეგობ-

რის დანახვა მიხარია!

(გაკრძელება იქნება)

საზოგადოებრივი განხილვის



წელს, საფხულის დასაწყისში ჩილის ქალაქ პარალას სასამართლოში ერთი უცნაური პროცესი მოეწყო. ოცი წლის ვოლფგანგ მიულერმა, გერმანული წარმოშობის ჩილეელმა, ბრადა დახლო სასოფლო-სამეურნეო კოლონიის „დიგნიდადის“ ხელმძღვანელებს, რომ მათ გახსნეს საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ევროპიდან გამოქცეულმა მიტლერებმა საპატიმროს რეჟიმში შეუქმნეს ათეულობით გლეხებს. მათ სცემენ, აწამებენ და ახურადა იგდებენო.

სასამართლო პროცესზე გამოიკვია, რომ „დიგნიდადი“ არის კოლონია, დაარსებული 1961 წელს, გერმანულ დახმარებით და დიდი ჯგუფის მიერ, ჩილის დედაქალაქის სანტიაგოს ახლოს. კოლონიას ხელმძღვანელობს ვინჩე გერმან შმიდტი, მიტლერი, სამხედრო-სამართლო ძალების ყოფილი ოფიცერი. კოლონიის „სულიერი მამა“ ყოფილი მიტლერი ოფიცერი პაულ შეფერია. „დიგნიდადში“, რომელიც სარგებლობს ჩილეში ბონის საელჩოს მფარველობით, ჩილის ვაჭრების ცნობით, სხვადასხვა დროს იმალებოდა ბევრი სამხედრო დამნაშავე. მათ იცავდნენ და მალავდნენ კოლონისტები, რომლებმაც თავიანთი მერყეობა ნამდვილ საკონცენტრაციო ბანაკად გადააქციეს.

1962 წელს ახალგაზრდა კოლონისტი ვოლფგანგ მიულერი „დიგნიდადიდან“ გამოიქცა. მალე იგი დაიპირა მის საპოვნელად შმიდტის მიერ სპეციალურად გაგზავნილმა „დამკვირვებელ რაზმმა“. მიულერის გაქცევის მეორე ცდაც უშედეგოდ დამთავრდა. 1966 წლის 8 მარტს მიულერი კვლავ გაიქცა, მიაღწია სანტიაგომდე, მისმა მდევარმა კოლონისტების რაზმმა კი ჩხუბი აუტეხა პოლიციას. რამდენიმე ნაცისტი დააპატიმრეს.

კოლონია „დიგნიდადის“ საქმემ დიდი ხმაური გამოიწვია ჩილის პრესასა და პარლამენტში. ჩილის უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა მოახდინოს განსაკუთრებული ძიება, ხოლო მთავრობა აწარმოებს ამ ქვეყანაში უტყობელთა ყოფნის წესების გადასინჯვას.

ვნახოთ, რა შედეგს გამოიღებს ყოველივე ეს!

ლაპარაკია დასავლეთგერმანული მთავრობის გადაწყვეტილებაზე იმის შესახებ, რომ კვლავ ჩაერთოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი შიშნის ძველი გერმანული შიშნის პირველი სტროფი, ამოღებული ჭერ კიდევ 1945 წელს, მიტლერი ურდოების დამარცხების შემდეგ. იმ დროს ვერავინ ვერ ბედავდა საჩაროდ ემდგრა ეს სტროფი, ხელისუფლებმა იგი შეცვალეს მესამე სტროფით, სადაც ლაპარაკია „თანხმობასა, უფლებიანა და თავისუფლებზე“.

იმ პირველ სტროფს „უკეთესი დროისთვის“ ინახავდნენ და აი ეს დროც დადგა. გერმანულმა იმპერიალიზმმა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ გაზარდა კიდევ თავისი ძლიერება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გადაიქცა მეორე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ დასავლეთის ქვეყნებს შორის. მან დაადგინა და განახლა თავისი აგრესიული სამხედრო მანქანა.

წემონსენებელი პირველი სტროფი ასეთია:
გერმანია, გერმანია ყველაზე მალა,
ყველაზე მალა მთელ მსოფლიოში,
მასიდან შემელამდე,
ადიჩედან ბალტიკამდე.

მაგრამ მდ. მასის საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის მიწებზე მიედინება, ბალტიის ზღვა და ნიის ნაპირებს არტყია ვარშემო, მდინარე ადიჩე იტალიაშია, შემელი კი (საბჭოთა ქალაქ კლამბედას გერმანული სახელწოდება) დგას მდინარე ნემანზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბონიდან 900 კილომეტრზე და შედის ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. კლამბედასა და ბონს შორის გაწოლილია ორი ქვეყნის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიები.


დასავლეთ გერმანიის მთავრობამ უკვე დასარქა ბუნდესგერის შეიარაღებზე 187 მილიარდ 500 მილიონი მარკა, ანუ 75 მილიარდით მეტი, ვიდრე მიტლერმა დასარქა მეორე მსოფლიო ომის მომზადებისათვის.

მათ ყველაფერი შინადა აქვთ. ჭრჭერიანობით აკლიათ მსოფლიო ატომური და თერმობირთვული იარაღი. მაგრამ ბონის განკარგულებაში უკვე არის ატომური რეაქტორი, კერძოდ, კარლსრუეში აგებული რეაქტორი, რომელიც უკვე 1968 წელს აწარმოებს იმდენ ზღვიან მასალას ბომბების დასამზადებლად, რაც თითქმის 500 ბირსონის მოსპობისათვის იკმარებს.

ასე რომ, შექმნილი იქნება ყველა პირობა იმისათვის, რომ დასავლეთ გერმანიის გენერალურმა შტაბმა გამოიყენოს „რესპუბლიკის“ ამერიკული ტაქტიკა, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი მასშტაბებით.

დადგა დრო მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ძალების კიდევ უფრო შეკავშირებისათვის, რომელთა გადაწყვეტილი ამოცანაა — ხელი შეუწალონ დასავლეთ გერმანიას აღიჭურვოს ატომური იარაღით.

თბილისის მერი და მისი სტუმარი



ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში არის მრავალი ქალაქი, რომლებსაც მსოფლიოს დიდი და ცნობილი ქალაქების სახელები შეურქმევიათ. იქ შეგვხვდებით ბერლინი, მადრიდი, რომი, ფლორენცია, კაირო, მეჩიხი და ა. შ. ტენესის შტატში არის ქალაქი, რომელსაც მოსკოვი ეწოდება. როგორც იტალიური ეურნალი „იოკა“ მოგვითხრობს, სწორედ ეს ქალაქი ინახულებს იტალიელმა ურნალისტმა ქალმა ორიანა ფალაჩიმ და კინომსახიობმა შერლი მაკ-ლენმა.

მოსკოვში რომ ჩავიდნენ, სტუმრებმა გადაწყვიტეს ჭერ ქალაქის მერი მოენახულებინათ, შევადგინოთ მისი რეზიდენციისათვის. მოხუცმა წაგმა ქალმა მათ შესთავაზებინა შეხვდა და არაფერი უპასუხა. „გვითხარი, სად არის რატუშა“, იკითხა მისი. კვლავ არავითარი პასუხი. სტუმრები აღარ მოეშვნენ მოხუც ქალს და მაშინ მან შეშინებულმა შეტყვირა: „მე არაფერი არ დამიშვებია, რა გინდათ ჩემგან“.

სტუმრებმა ახლა სხვა წაგებს მიმართეს, მაგრამ ისინიც ან დუმებით უპასუხებდნენ, ან რაღაცას ჩაიბურტყუნებდნენ და მალე გაეცლებოდნენ ხოლმე. ბოლოს ჩამოსულმა მოგზაურებმა იხოვნეს ერთი მოხუცი წაგა, წინააღიწი სოლომონ პრანისი, რომელმაც ვახედა სტუმრებთან გამოლაპარაკება.

— შე ადარაფრისა შეშინია, — თქვა მოხუცმა, ჩემი ხუთი შვილი, თავიანთი ოჯახებიანად, უკვე გაიქცნენ აქედან, ისინი ჩრდილოეთის შტატებში გადავიდნენ. აქ მარტო ერთი შვილიშვილი დამარჩია, იმასაც მალე გავწავნი.

მოხუცმა უამბო ორიანას და შერლის, რომ თუმცა ამ მოსკოვში მცხოვრებთა უმრავლესობა წაგები არიან და მათ შორის თქვენ შეგვდებით ღუქნების პატრონებსაც, პოლიციის მსახურთაც, მაინც წაგს სასტიკად აკრძალული აქვს გამოლაპარაკოს თეთრკანიანს. ასეთი „სითამამისათვის“ მას კუკულუკ-კლანი სასტიკად გაუსწორებს ანგარიშს.


ბოლოს, სტუმრებმა, როგორც იყო, იხოვნეს ქალაქის მერი, ეს იყო ორმოცდაათი წლის ქვირივი ქალი კლოტილდა მორტონი. მას ეკუთვნის ორი მესამედი პლანტაციებისა, რომლებიც გაშენებულია მოსკოვის ირგვლივ. ქალაქის მერი უპასუხდა შეგვდა სტუმრებს. „ნეტავ ვიცოდეთ, რას დადიან ეს ურნალისტები, იმისათვის რომ შეგვაწუხოთ ხუდედური შეითხვებით და წაგებთან მუხაფი გამოართონ“.

ფალაჩიმ ჰკითხა ქალაქის თავს, თუ როგორ შეიძლება მოახლო სახელგანთქმული ადამიანის — წაგის მომღერლის ბელაფონტის ნათესაების. ქალმა კლოტილდამ უპასუხა: „რომელ სახელგანთქმულ ადამიანზე ლაპარაკობთ? ის ხომ ფერადკანიანია. დაე, უწოდეთ მას სახელგანთქმული, ანაუ არ ჩავიცავდებით, მაგრამ ადამიანს რომ უწოდებთ, ანაუ კი ვერ დაგეთანხმებით“.


როგორც ჩანს, ძველი მონათმფლობელური სამხრეთი თავის ბარბაროსობაზე ხელს არ იღებს.



ისევ „როიკლანდ იუპარ კლან“...
საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი, ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ფლორიან ბონტი „ფრანს ნუვილის“ ფურცლებზე წერს:
„დასავლეთ გერმანიაში მეტად სახიფათო სიტუაცია შეიქმნა. თუ რამდენად სახიფათოა იგი, გავიხსენებთ ერთ ფაქტს, რომელმაც დღემდე არ მიიპყრო დიდი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყურადღება.“



მარტინა მინტეგი ბილბაო



თბილისში ბევრი ესპანელი დარჩა, თავიანთი ოჯახები გაიჩინეს. ჩემს ოჯახში ტრადიციად შემოვიღე, ჩემს დაბადების დღეს თავს ვიყრივთ ესპანელებზე. განსაკუთრებული სიხალისე შემოაქვთ მოქანდაკე ლუის ფერნანდესსა და სატრიკოტაჟო კომბინატის ოსტატს დარიო სუარესს, მათი სიმღერების მოსასმენად მევობლები ფანჯრებს აღებენ. ლუისს ცოლად რუსი ქალი ჰყავს, დარიოს — ქართველი.

1956 წელს შესაძლებელი გახდა ესპანეთთან მიწერ-მოწერა. დაიწყო ერთთვიანი ვიზიტები. როგორც მოსკოვიდან მებრუნებმა შემატყობინეს, ესპანეთში ჩასვლის ნებართვისათვის ესპანეთის წითელი ჯვრის პრეზიდენტისათვის უნდა მიმემართა. ასეც მოვიქციე, უზარმაზარი წერილი მივწერე სწრაფ პრეზიდენტს. სამი თვის დაშვანცვლილი ლოდინის შემდეგ უნდვის საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციისაგან ცნობა მივიღე, რომ ჩემთვის ესპანეთის მთავრობას ესპანეთში ყოფნის ერთთვიანი ვიზა მოეცა, ეს ვიზა პარიზში, ესპანეთის საელჩოში დევს, რომ საფრანგეთის საელჩო მოსკოვში მომცემს სატრანზიტო ვიზას და ასე შემდეგ...

და აი, ოცდაცხრა წლის შემდეგ პირველად მივდივარ ჩემს სამშობლო ბასკეთის დედაქალაქ ბილბაოში. მატარებელი კვილით მიაპობს სივრცეს. სამი საათის წინათ პარიზიდან გამოვდივით. ჯიბეში საბჭოთა პასპორტი მიდევს და ესპანეთის მთავრობის ნებართვა.

* * *

კარგა შეთენებული იყო, რომ მატარებელი რომელიღაც სადგურში შეჩერდა. ონდაიამდე ორიოდე სადგური... და დარჩაო, გვიტობრა ერთ-ერთმა თანამგზავრმა. დაფაცურადით. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, ბოლოს როგორც იქნა ვავონის გამცილებელი ვიპოვნეთ. გამცილებელმა გამოგვიცხადა, რომ მატარებლის მთელი მომსახურე პერსონალი გაფიცულ რკინიგზელებს შეუერთდა და მატარებელი აქედან აღარ წავაო.

დავიბენით, არ ვიცოდით როგორ მოვქცეულიყავით. მაგრამ ყველაფერი იოლად გადაწყდა. თანამგზავრმა გვიტობრა, რომ სადგურის უკან მოედანზე ესპანეთისაკენ მიმავალი ტაქსები დგანან, რომლებსაც სპეციალური ნებართვა აქვთ და შეუფერხებლად დადიან საფრანგეთსა და ესპანეთს შორისო. პირველივე მდგარი ტაქსი ესპანეთისა გამოდგა. შოფერმა მატარებლიდან თვითონვე გადმოგვიღო ბარგი, ჩავსხსა და დავიძარიო.

მე და კარმენს სული კბილებით გვიჭირავს. შოფერმა გვიტობრა ოცდაათ წუთში ესპანეთში ვიქნებითო. ნუთუ ოცდაათ წუთში იმ მთავორებს ვიხილავთ, რომლებიც ამ ოცდაცხრა წლის წინ დავტოვეთ და მთელი სიცოცხლის მანძილზე თან გვდევდა!

ჩვენი შოფერი დიდად მოლაპარაკე აღმოჩნდა. მე და კარმენს ორიოდე სიტყვაც არ გვქონდა ნათქვამი, რომ საუბარში ჩავგვირია.

— თქვენ ესპანელები ხართ?
— ესპანელები — დაფუდასტურეთ.
— მაგრამ რად არის, რომ ესპანურს რაღაც სხვაგვარი გამოთქმით ლაპარაკობთ?
— ეს როგორ! — გავიოცეთ, — ჩვენი ესპანური არ გესმით?
— რას ამბობთ! პირიქით, შესანიშნავად ლაპარაკობთ, მაგრამ ასეთი კილო ჯერ არ გამიგონია.
— ჩვენ საბჭოთა კავშირიდან მოვდივართ.
— ოცდაჩვიდმეტი წლის ბავშვები ხომ არა ხართ?

დაფუდასტურეთ, ზო, ოცდაჩვიდმეტი წი გავიყვანეს ესპანეთიდან.
გაოცებისა თუ აღილეებისაგან შოფერმა ისე შეახტუნა მანქანა, კინაღამ გადააბრუნა. შემდეგ სვლა შეანელა, შეაჩერა, სული მოითქვა, სიგარეტი გააბოლა და მანქანა კვლავ დაძრა.

— ბარჯალა, — გვეუბნება შოფერი, — რომ ესპანური არ დაგვიწყებიათ.
— საზღვარზე როგორ ხვდებიან? — დავინტერესდით, — ჩხრეკენ?
— განა რა მოგაქვთ ისეთი?
— ატომი — გავიხუმრე.
შოფერს გაეღიმა.
— მინც რა მოგაქვთ?
— სხვა არ მაფიქრებს, — მივუგე, — ქმრის ქვეყნის ღვინო და კონიაკი მაქვს.

— ო, სასმელებს არ გაგატანენ, — გაგაფრთხილა, — გაჩნია ვინ იქნება. ზოგჯერ გულდასმით ჩხრეკენ, ზოგჯერ ისე უშვებენ.
აბა, რა ისეთი ამბავი უნდა ყოფილიყო ორიოდე „გრემისა“ თუ „საიუბილიოს“, სამიოდე „ხვანჭარისა“ თუ „წინანდლის“ დაკარგვა, მაგრამ ძალიან მინდოდა ჩემებს ბასკეთში ჩემი საქართველოს სასმელებიც ეგემნათ.


— აი, ესპანეთიც! — დაგვანახვა შოფერმა.
გავშრიოთ, გავქვავდით და იმ მთავორებს შევაცქერდით, რომლებიც თანდათან გვიახლოვდებოდნენ. წარმოუდგენელია ამ განცდის აღწერა, წარმოუდგენელია იმ აღილეების გამოხატვა, სამშობლო მიწის პირველი ნახვისას რომ ვიგრძენი. ახლა კიდევ ლაგდება თანამიმდევრულად განცდილი, თორემ მაშინ, მოქალაქეული, მონუსხული თვლით შევცქეროდი სამშობლო მიწას, შევცქეროდი და აღილეებისაგან ვერაფერს ვხედავდი. სამშობლოს მხრიდან მომანებრი სიო მელამუნებოდა და სახეზე ალს მინთებდა, მწვავდა და მზუგავდა. თითქოს ვიყავი ამ ქვეყნად და არც ვიყავი. ყელში რაღაც გამჩხჩხირა, სუნთქვა შემეკრა და ძარღვებში სისხლი გამეყინა. შემაურკოლა, შემაცოცა, შემდეგ შემაცხელა... ოცდაცხრა წლის განმავლობაში არ იყო საათი, ჩემს ბასკეთზე არ მეოცნება, არ მეფიქრა და აი ახლა ეს დღეც დადგა. ცოტაც და მის მიწაზე ფეხს შევდგამთ.

ადიოს ესპანია, ესპანია მია!..
გამიელვა თავში სიმღერამ, რომლითაც ამ ოცდაცხრა წლის წინ ვემშვიდობებოდი ფაშისტების მიერ აკლებულ, ცეცხლსა და ვეებაში გახვეულ მრავალტანჯულ ესპანეთს...
— თქვენი პასპორტები!
გამოფიხილდით. ბიდასოსს ხილვე, შლაგაუმთან გავჩერებულვართ. შლაგაუმს იქით ირუნია, ბასკეთის სასაზღვრო ქალაქი.
პასპორტები ვუჩვენე მესაზღვრეებს.
— ოო! — ორაზროვნულად გაიოცეს ესპანელმა მესაზღვრეებმა, ალბათ, არც თუ ხშირად უხდებოთ ასეთი პასპორტების ნახვა.
მესაზღვრეებმა გვთხოვეს მანქანიდან ჩამოვსულიყავით. ერთ-ერთი მათგანი წინ გაგვიძღვა და ტაქსის შოფერს ანიშნა გამომეყვიო. ბარგის შესამოწმებელ ჯიბურში შეგვიყვანა. შოფერს ბარგი გადმოლაგებინა, მანქანა კარგად შეათვალიერა, ხომ არაფერი დარჩაო, ჩვენი პასპორტები ჯიბურში მჭდომ სხვა მესაზღვრეს გადასცა და უკან გაბრუნდა.



მარტინა მინტეგი და მისი დაი.

* გავრძელება. იხ. „დროშა“, № 8.



ბასკეთი

მოთავსებული მაღალიდან ქალი გამოვიდა, კარგად ამთვალ-ჩამათვალეირა, მოშიახლოვდა და ტკბილად მითხრა:

— კეთილი იყოს, მარტინა, თქვენი ჩამოსვლა არა, ამ ქალს ნამდვილად არ ვიცნობ. უცხად ჩემი დის მოწერილი გამახსენდა, თუ ვინიცოხაა შინ არ დაგვადით, მაღალიაში ჩემი მეგობრები არიან და ისინი ჩვენს მოსვლამდე გიპატრონებენო. ალბათ, ეს ქალი ჩუჩას მეგობარია!

— როგორ არიან? — პირველი ეს კითხვა იყო, ენაზე რომ მომადგა.

— კარგად არიან, შინ არიან... — მომიგო ქალმა. შოფერმა ბარგი გადმოიღო და მითხრა დავრჩეთუ წავიდეთ. ანგარიში გავუსწორე და ხელით ვანიშნე წასულიყო.

რა მომდის... ეს ფეხები რად მომეცია... ნაბიჯს რად ვერ ვადგამ. ო, რა ძნელი ყოფილა ამდენი ხნის უნახავი სახლის შესასვლელთან უკანასკნელი ნაბიჯების გადადგმა...

მაღალიდან კაციც გამოვიდა, ისიც მომესალმა. მხარში ამომიდგნენ. ჭერ მე ამოიყვანეს კიბეზე, შემდეგ ჩემი ბარგიც ამოიტანეს. და აი იმ კარის ზღურბლთან ვდგავარ, სადაც აწერია სიღვესტრე მურუაგა, — ეს ჩემი სიძეა — და ხელს ამიწევი, — ეს ჩემი დაა. მხოლოდ ხის კარი მაშორებს ჩემებს. ამ კარს იქით ცხოვრობენ ისინი, ჩემი სისხლისა და ხორცის თანაზიარნი.

— დააკაუნეთი — მითხრა ქალმა.

ესპანეთში კარზე ელექტროზარი არ მინახავს, პატარა ჩაქუჩი ჰქონდა, რომელიც თუნუქს ურტყამს და ძლიერ ხმას უშვებს.

ვერა, ვერც ხელს აწევი, ვერც დავაკაუნებ, მუდარით ვანიშნე, თქვენ დაპირით-მითქი ჩაქუჩს. და აი მიმეც კაქუნი გაისმა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

კარს ვიღაცა მოადგა, გამოაღო და... ღია კართან ჩემი სიძე იდგა. შეცვლილიყო, მაგრამ მაშინვე ვიცანი.

— მარტინა!.. — იყვირა მან, არა, კი არ იყვირა, დაიწმუვლა, ამოხიარია, გული ამოაუღო.

— მარტინაო! — ახლა ჩემმა დამ იკვილა ოთახიდან, გიჟივით გამოვარდა, გადამხვია. აღარ მახსოვს, აღარაფერი აღარ მახსოვს. ვიდრე იმ დღეებში ჩახუტებულნი და გულსაკლავად ვჭკვიანივდით. ისიც ვერ მოგვეფიქრა, ოთახში შევსულიყავით. სახლის ყოველი სართულიდან მცხოვრებლები გამოიფინენ, ეგონათ, უბედურება თუ რამე მოხდა მინტეგების ოჯახში.

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავით ასე, ხუთი წუთი... ათი... ეგებ, ოცი. გონზე ისევ სიღვესტრემ მოგვიყვანა, შინ შევიმდგა, სავარძელზე დაგვსვა და ჩუჩას თვალთ რაღაც ანიშნა:

— ამა!..

— ღმერთო მომკალი! — შეიცხადა ჩემმა დამ, — როგორ დაგვაგვიწყდა ის უბედური. ავადაა, წევს, იქ გელოდებო, შედი!

ჩუჩას თვალთაგან ცრემლი დაპა-ღუპით ჩამოსდის, თმა აწეწია, ერთიანად აწითლებულა. ალბათ, არც მე მადაგს უკეთესი ღელე.

ამას ოთახისაკენ გავწიე. ჩუჩამ შემაჩერა:

— არ გაიკვირდეს. არაფერი გაგიკვირდეს. თუმცა შენ... შენ თვითონ... აი, იქ შედი! მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია ჩუჩას სიტყვებისათვის და იმ ოთახისაკენ გავწიე, ხაითაც ჩუჩამ მიმითითა.

მოხუცი ქალი საწოლზე წამომაჯდარა, თვალგაფართოებული კარისაკენ იყურება, ნერვიულობისა და მოლოდინისაგან დანაოჭებულ ფერმკრთალ დაწვეზზე სიწითლე შეპარვია.

მოხუცი ქალს თვალი შევავლე და კარის ზღურბლთან ვავშეშდი. ღმერთო ჩემო!.. ფოტოსურათში ვერ გავარჩიე დედისა და დეიდის სახეები, თორემ ახლა, პირისპირ... არა, ეს დეიდა არ იყო, არა, არ იყო. და ერთბაშად თვალნათლივ, მკაფიოდ,

ჩემს თვალწინ დედაჩემის, ჩემი მშობელი დედის სახე იელვა. ეს ხომ მისი სახის ნაკვთებია, მისი ფართო თვლები, არა, ეს არ იყო დედაჩემი! საწოლზე ჩემგან დატორებული და ვალოტირებული მშობელი დედა იქადა, დაბერებული, მონტონილი, იქადა და ჩურჩულით მოთქვამდა:

— ნენა!.. ნენა!.. (ნენა ბასკურად პატარას ნიშნავს).

ამდენ განცდას კი ვეღარ გავუძელი და თურმე იქვე გონწართმეული დავცემულვარ.

ნემსის ჩხვლეტამ გამომაფხიზლა. საწოლზე დავუწვენივართ. თავზე ექიმი მდგა და მკლავზე ნემსს მიკეთებდა. გვერდით ჩუჩა იდგა, კუთხეში სიღვესტრე მიუყუდულიყო.

— აი, ჩვენი ბოლჩევიკი გამოვაცოცხლეთ, — ხალისიანად თქვა ექიმმა, — არაფერი უჭირს. დღეს ზედმეტი განცდებისაგან გული გადაეღო. ახლა ამას მოსვენების მეტი არა უნდა რა.

— ძმებმა რომ დარეკონ, რა ვუთხრა? ყოველდღე კითხულობენ, თუ ჩამოვიდაო.

— სენიორა, უთხარით რომ არ ჩამოსულა.

— ხომ მომკლეს...

— თქვენი დის მოკვლა კი გინდათ?.. დღეს მეტს ნურც დედას უჩვენებთ.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმი წავიდა. ეს დაბალი ტანის ხანშესული ექიმი ზედმეტად სმაურიანი იყო, ხალისიანი. რომ წავიდა, სიხალისის ნაწილი ოთახში დატოვა და ნაწილი თან წაიღო.

ჩუჩა საწოლზე ჩამოჯდა. ერთხანს ორივენი ვდუმდით.

— მამაკი, — ჩურჩულით დაიწყო მან, — შენი წერილებიდან გვიან გავიგეთ, რომ დედას დაღუპულად თვლიდი, ცოცხალი კი დეიდა გგვუღებოდა. ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი თავი ვიმტვრეთ, ბოლოს გადავწყვიტეთ, არაფერი მოგვეწერა. ეგებ, არც ჩამოსულიყავი არასოდეს და დავი, როგორც ფიქრობდი, ისე გგონებოდა. შენი ჩამოსვლის ამბავი რომ მოვიდა, ახსნა-განმარტება პირად შეხვედრამდე გადავდეთ. არ გავგვიჩაგრდო.

რალა მეთქმოდა. ამ დროს კარი გაიღო და დაბალი, კოხტა, მერცხალივით გოგონა შემოიჭრა ოთახში.

— დედაჩემი მაჩვენეთ!

— ეს ჩემი არანაა, — მითხრა ჩუჩამ.

არანაც ინიკივით ბასკური სახელია, ნამდვილი ბასკური.

ყველაზე მეტად არანას შევიწყვე. ეს ოც წელს მიღწეული ქალიშვილი თან მუშაობს, თან სწავლობს სტენოგრაფიისა და შემანქანეთა კურსებზე. ხელფასს, რასაკვირველია, თავის თავს ახმარს. ჰკვირანი, ნაკითხი გოგონაა. ისე როგორ გავჩერდებოდით, დღეგამომშვებით ჩვენს ქუჩაზე რომ კინოთეატრი იყო, იქ არ გვევლო. სწორედ ორ დღეში იცვლებოდა კინოსურათები. რა არ ვნახეთ... არა, ნამდვილად კარგად იქცევინა ჩვენი კინოგაქირავების მესვეურები, რომ ასეთ იაფფასიან და გულსამრევსურათებს არ აჩვენებენ, რომლებითაც სავსეა უცხოეთის კინოთეატრები.

მიუხედავად აკრძალვისა, იმ საღამოსვე, როგორც კი თავი ცოტათი კარგად ვიგრძენი, დედასთან შევედი. როგორ მოხუცებულია, როგორ მომტყდარა ჩემი საბრალე დედა!.. მაგრამ გონება სრულად შეჩრენია და მოხუცის სკლეროზისა არაფერი ემჩნევა. საოცრად კარგი მენსიერება აქვს. იმ საღამოს არავის დაგვიძინია, ყველანი დედას ოთახში შევეგროვდით და ჩემი თავგადასავალი მაამბობინეს. ყველაფერი აინტერესებდათ ჩემიანებს, განსაკუთრებით ჩემი ოჯახის ამბავი, ჩემი ქვეყნის ამბავი.

იმ საღამოს არანასაც არ დაუძინია და შემდეგ მაამბო, მეორე დღეს სამსახურში სულ ამოქნარებდა და ეყვინებოდა თურმე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. საბ. რესპუბ. ბიულეტენი



ნახატი ა. ტიურინასი.

მედიკალური საბავშვო

ჩემსი წინადადებაა ხიდას სადგურისკენ რომ გამოვიდით, არ შეიძლება თქვენი ყურადღება მტკვრის მარცხენა ნაპირზე ამართულმა თანამედროვე ტიპის მრავალსართულიანმა შენობამ არ მიიპყროს.

შენობა ჯერ დამთავრებული არ არის, მაგრამ აქედანვე მტკვრა, რომ იგი ძალზე ღამაზე და მოხერხებული ნაგებობა იქნება.

კიდევ ცოტა დრო და აქ მოთავსდება ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსი. თვითონ ინსტიტუტი მოთავსებულია თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ადრინდელ ბინაზე, იმ შენობაში, რომელიც ამ ასი წლის წინათ იქნა აგებული.

ინსტიტუტის ამ ახალ კორპუსში განლაგებული იქნება განყოფილებები და ლაბორატორიები მთელი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ატმოსფეროსა და ჰიდროლოგიის შესწავლისათვის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ჩასატარებლად.

ამ მიზნით ლაბორატორიული კორპუსი აღჭურვილი იქნება ყველაზე თანამედროვე ხელსაწყოებითა და დანადგარებით.

აქვე მოთავსდება სპეციალური გამოთვლელი ცენტრი მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური ინფორმაციების დასამუშავებლად.

ცნობილია, ცოცხალი ორგანიზმის არსებობისათვის რაოდენ აუცილებელი ფაქტორს წარმოადგენს ჰაერი, წყალი და მზის სხივები.

ჩვენი ინსტიტუტი ამიერკავკასიის მთიანი რაიონებისათვის შეისწავლის მანაგანაწილების რეჟიმს.

ამასთან შეისწავლება ატმოსფეროს მაღალი ფენები, მზის რადიაცია, ამიერკავკასიის მდინარეების წყლის ბალანსი, ატმოსფერული პროცესების დინამიკა, პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობენ ამიერკავკასიაში და იწვევენ სხვადასხვა ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებს: სეტყვას, ჭექა-ქუხილს, კოცისპირულ წვიმებს, თოვლის წვაკებს, გვალვას და ა. შ. საქმაოდ დიდი მასშტაბით გაჩაღდება მუშაობა ამ მავნე ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე ხელისშეწყობის მიზნით.

ინსტიტუტში შემუშავებულია და სულ მოკლე ხანში დაინერგება კიდევ ნიადაგის საწინააღმდეგო კონსტრუქციები ქ. ყვარელის დასაცავად მდ. დურუქისაგან.

ახალი ლაბორატორიული კორპუსი, რომელიც განკუთვნილია სამეცნიერო ექსპერიმენტული სამუშაოებისათვის მთიანი ჰიდრომეტეოროლოგიის დარგში, თავისი კონსტრუქციითა და მოწყობილობით ერთ-ერთი ყველაზე უკეთესი იქნება მთელს საბჭოთა კავშირში.

3. ლომიანი

ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეს სურათი მოსკოველმა ფოტორეპორტიორმა იური მორგულიმა შარშან გადილო, როცა მსოფლიოს ორგანის ჩემპიონი ფეხბურთში, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდი ლუენციის ცენტრალურ სტადიონზე საწვრთნელ ვარჯიშს გადიოდა. სურათზე აღბათ იცანით ბრაზილიელთა სახელგანთქმული მასაჟისტი მარიო ამერიგო, რომელმაც ორჯერ მოიპარა ბურთი ფინალურ შეხვედრებში — სტოკჰოლმსა და სანტ-იაგოში; მოიპარა მას შემდეგ, რაც ბრაზილიელები ორჯერ ავიდნენ მსოფლიო ჩემპიონის კვარცხლბეკზე. როცა ჩემს არქივში ამ სურათს წავაწყდი, უნებურად გამახსენდა ის შეკითხვა, რომელიც მაშინ მარიო ამერიგოს მივეცი: — რას ამირებთ ღონღონში?

ბრაზილიელთა მასაჟისტიმა სხარტად მომიგო — აღბათ უფლებიყვეც მომიწევს მესამე ბურთის მოპარვაო.

ბრაზილიელები არაფერს არ იზურებდნენ, რომ მესამედ მოეპოვებინათ მსოფლიო ჩემპიონობა. ისინი ამას არც მალავდნენ და საქმაოდ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი.


განა მართლ ბრაზილიელებს სჯეროდათ საკუთარი გუნდის გამარჯვებისა. ყველა ქვეყნის ფეხბურთის სპეციალისტთა და ჟურნალისტთა დიდ უმრავლესობას სჯეროდა, რომ ოქროს ქალღმერთი უკანასკნელად გადასერავდა ატლანტიკის ოკეანეს და საბოლოოდ აღმოჩნდებოდა ბრაზილიელთა ტყვეობაში.

მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რასაც ამ ორი თვის წინ ვერცერთი გულშემატკივარი ვერ წარმოიდგენდა, ბრაზილია ქვეყნისადაც კი ვერ გავიდა. იგი ორჯერ დამარცხდა, ორივეჯერ ერთი და იგივე ანგარიშით — 1:3. მსოფლიო ჩემპიონებს სძლიეს უნგრელებმა და პორტუგალიელებმა. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება გვენახა ბრაზილიელთა თამაში ინგლისში, რადგან იმ დროს სანდერლენდში ვიმყოფებოდით. მხოლოდ ტელევიზორების ეკრანებზე ვადევნებდით თვალყურს სხვა გუნდების თამაშს. სატელევიზიო გადაცემები კი ინგლისში ნამდვილად უმაღლეს დონეზე იდგა, თვითმულ თამაშს თითქმის სამჯერ-ოთხჯერ გვაჩვენებდნენ, ყველა მთავარ მომენტს კი შენელებულადაც გადმოსცემდნენ. ფეხბურთის მატჩებს კომენტარს უკეთებდნენ ინგლისის ეროვნული ნაკრების უფილი მწვრთნელი უოლტერ უონტერბოტომი და წარსულში სახელმწიფეებელი ინგლისელი ფეხბურთელები — ბილ რაიტი, დანი ბლენჩფლადური და ტომი ფინეი. გადაცემები და შეხვედრები იმდენად ოსტატურად მიმზავდათ ინგლისელ დიქტორებს, რომ ადრეცემას ჩვენი შეხანისწავი დიქტორი კოტე მახარაძეც ვერ მალავდა.

აღბათ შემთხვევითი არ არის, რომ მაღამ ტიუსოს ცნობილ სანთლის ქანდაკებთა მუზეუმში მთელი განყოფილება უჭირავთ ინგლისის რადოს დიქტორებსა და თანამშრომლებს; ისინი მიკროფონით ხელში არიან გამოქრწინი. მათ მოპარდადირე მხარეს კი, სპორტულ განყოფილებაში, მოსჩანს პედებს, გრივისს, სტენლი მეტეუზის, ტომ ფინეის, კასიუს კლეისა და სხვა სახელმწიფეებელი სპორტსმენთა ფიგურები. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ამ ფიგურებს, აღბათ, ცოტას შეავიწროებენ, დიქტორებ, რომ მათ მხარს დაუმხვიებენ ბოში მურაი, ბოში ჩარლტონი და ეისებიო.

როცა მსოფლიო ჩემპიონები საბოლოოდ დამარცხდნენ, გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები უწარმაზარი სათაურებით — „რიო დე ჟანეირო ითხოვს ფეოლას თავს“, „მედლეგარბა ბრაზილიაში“, „ბრაზილიელებმა დაარბიეს პორტუგალიელთა მალაზიები და კლუბები“. შემდეგ კი გამოქვეყნდა პატარა ინფორმაცია, რომელმაც ძალზე ააღვივა ფეხბურთის გულშემატკივრები. ბრაზილიელებმა სთოვებს დანიის მთავრობას ორი კვირა გაეტარებინათ დანიის კუთვნილ რომელიმე პატარა კუნძულზე, სადაც ისინი გადურჩებოდნენ ანგარ პურნალისტებს და ფოტორეპორტიორებს. ისინი ვერ ბედავდნენ სამშობლოში დაბრუნებას და იმედი ჰქონდათ, რომ ბრაზილიის მოსახლეობა ამ ორი კვირის განმავლობაში შეურიგდებოდა ამ უბედურებას და ცოტათი მაინც დამოშინდებოდა. „დეილი მიორშია“ გამოაქვეყნა ერთი ფოტოსურათი, რომელიც ლივერპულის აეროდრომზე გადაღდა. ბრაზილიელთა მწვრთნელი ვისენტე ფერელა დადონებული და გულზეხელებგადაჭობილი, გამგავარბის წინ, საცოდავად დაპურებს თავის ჩემოდნებს. დაბა, ლივერპული იყო ბრაზილიელთა ვატერლოო.

ფეოლასთან შეხვედრა კი მაინც გვწერებია. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეინახეენ ამსტერდამის გავლით გამოვემგავრეთ. უცრად მინის კარებს იქით ნაცნობი, მსხვილი მამაკაცი დავინახეთ. იგი დარბაზში შემოვიდა. საეჭვო არაფერი იყო, ჩვენს წინ ვისენტე ფერელა იდგა. ბრაზილიელთა მწვრთნელი იტალიაში მიემგავარებოდა. ყველანი ირგვლივ შემოვიხვეეთ. იგი დამარცხებულ და ტყვედ ჩავარდნილ სარდალს მგავდა, მაგრამ თავი ღირსეულად და ამა-



მოჭურბიანსა-მოუღანი...

საქართველო
გენერალიზაცია



უად ეკირა. მსუქან სახეში ღრმად ჩამჯდარი თვალებიდან სევდა იღვრებოდა. მწვრთნელი, რომელმაც თავის ფანტაზიას დაუმორჩილა მსოფლიო საფეხბურთო ტაქტიკა, მწვრთნელი, რომელმაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრები წაიღო და ორჯერ აიყვანა დიდების ოლიმპზე, ბრძოლის ველიდან გამოპარულს ჰგავდა. სადაღ იყო მისი ბრწყინვალე ამაღა — პელე და გარინჩა, ხანტოსი და უილმარი, ბელინი და უაირზინიო? ვისენტე ფეოლა მათ სამუდამოდ გამოემშვიდობა. იგი ახლა იტალიაში მიემშურებოდა, მამის საფლავისა და მცირეოდენი მემკვიდრეობის საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი. იგი გრძნობდა, უკანასკნელად რომ იყო საფეხბურთო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში და სევდიანი, ოდნავ ირონიული ღიმილიც ალბათ იმიტომ დასთამაშებდა.

ყოველი მსოფლიო ჩემპიონატისას ეურნალისტებს უყვართ ხოლმე საკითხის ასე დაუყენება — ევროპა, თუ სამხრეთ ამერიკა? რიცხობრივი უპირატესობა, რასაკვირველია, ყოველთვის ევროპის მხარესაა, რადგან აქ უფრო მეტია ძლიერი საფეხბურთო სახელმწიფოები — ესპანეთი, იტალია, უნგრეთი, გერმანია, ინგლისი, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, სსრ კავშირი, საფრანგეთი, პორტუგალია. სამხრეთ ამერიკაში კი მხოლოდ ოთხი სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს ჩემპიონობის რეალურ პრეტენდენტებად. ესენი არიან ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი და ჩილი. მიუხედავად ამისა, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატამდე უპირატესობა სამხრეთ ამერიკის მხარეს იყო — 4:3, ახლა კი ანგარიში გათანაბრდა 4:4. ამ ჩემპიონატში ვერცერთი სამხრეთამერიკული გუნდი ვერ მოხვდა ოთხეულშიც კი. გ. კაჩალინმა სწორედ ასეთი შეკითხვა მისცა ბრაზილიელთა მწვრთნელს — თქვენ მიგანიათ თუ არა, რომ ინგლისის ჩემპიონატში ევროპის ფეხბურთში დაამარცხა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი. პასუხად ვისენტე ფეოლამ ხამაღლა გაციცა.

— მაინც რა მიგანიათ თქვენი დამარცხების მიზეზად? — ჰკითხა, თუ არ ვცდები, მიხეილ იაკუშინმა. ფეოლა დაფიქრდა. დაფიქრდა არა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა, ალბათ უკვე მოსწყინდა ამ საშინელ კითხვაზე პასუხის გაცემა. მოსწყინდა იმ ალბათ გაუპირებული ფრანს ათასჯერ გამეორება.

— დამარცხების მიზეზი ბევრი იყო, — თქვა მან, — ფეხბურთელებს კი ყველაზე უფრო უნებისყოფობას ვუსაყვედურებ. ეტყობა ამ მხრივ ისინი არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი. გარდა ამისა, ჩვენ ყველანი უხეშად გვეთამაშებინან. ჯერ კიდევ ჩემპიონატამდე გამოვიდნენ მწყობრიდან ჩვენი უძლიერესი ფეხბურთელები. ქვეგაუფშიც ბულგარელები და პორტუგალიელები ძალზე უხეშად გვეთამაშენ. მხოლოდ უნგრელების თამაშით ვარ კმაყოფილი, ისინი ვუკაცურად და ათლეტურად იბრძოდნენ. შეცდომები კი გვქონდა, ნაშედეგად გვქონდა.

ფეოლამ აღარ ისურვა ელაპარაკა თავის შეცდომებზე. შეცდომები კი მართლაც ბევრი ჰქონდა ბრაზილიელთა სახელგანთქმულ მწვრთნელს, მაგრამ ამაზე ჭვემოთ. ერთი კი არის, ამ სამი ჩემპიონატის განმავლობაში თვითონ ბრაზილიელი ფეხბურთელები ითვლებოდნენ და ითვლებიან ყველაზე კორექტულ, სუფთა და თავაწიან მოთამაშებლად. თვით მაშინაც კი, როცა ბრაზილიელი ფორვარდები მოწინააღმდეგის უხეშობის გამო იძულებულნი არიან მოედანი დასტოვონ, არ ჰკარგავენ ტაქტის გრძნობას, ისინი მხოლოდ იღიშებიან, თითქოს პირიქით ამშვიდებენ დაშინაშავს.

ბრაზილიელებს ძალზე უხეშად ეთამაშებოდნენ, ამაში ბრალი მარტო მოწინააღმდეგეებს როდი მიუძღვით, თვითონ მსაჯებიც ძალიან ბევრს სცოდავდნენ. ისეთი სურათი შეიქმნა, თითქოს ყველაფერს წინასწარმოფიტებულად აკეთებდნენ, თითქოს მათ ხელს აძლევდა ბრაზილიელი ვარსკვლავების დამტყრევა, მსოფლიო ჩემპიონების მატჩებს ზომ ინგლისელი მსაჯები სჭიდნენ... მაგრამ ამაზეც ჭვემოთ ვილაპარაკებთ. აქ ეს ამბავი მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ მიუხედავად დიდი უკმაყოფილებისა, ბრაზილიელები ბოლომდე თავაწიანები და რაინდები დარჩნენ. მათ არ დაევიწყნიათ მიეღოცათ გამარჯვება პორტუგალიელი ფეხბურთელებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ საბაზი მტრულად დაშორებოდნენ მოწინააღმდეგეებს. მათსურებიც კი დაცვაღებს, ხოლო ბრაზილიაში დაბრუნებისას პელებ ოფიციალურად განუცხადა სპორტულ

ეურნალისტებს, ეისების მსგავსი ფეხბურთელი ალბათ საუკუნეში ერთი იხადებაო.


ბრაზილიელები მსაჯობით და ჩემპიონატის ორგანიზაციით ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ ყველაზე თავშეაყებულად მაინც ისინი გამოხატავდნენ თავიანთ გულისწყრომას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოფიციალურად არც კი განუცხადებიათ რაიმე პროტესტი. უკმაყოფილება ცალკეულ წინადადებებში და ქვეტექსტებში თუ იგრძნობოდა. არც ის შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დუმილი მხოლოდ მათი თავაწიანობის შედეგი ყოფილიყოს. ბრაზილიელი ფეხბურთელები და მწვრთნელები მიხვდნენ, რომ ისინი ინგლისში ისე ვერ ჩამოვიდნენ, როგორც საჭირო იყო. მოსკოვში ფეოლამ განაცხადა, ყველას შემცველელს ვიპოვნი, ოღონდ დიდის შემცველელი არავინ მგეულებოა. ფაქტურად კი აღმოჩნდა, რომ ფეოლას არა მარტო დიდის, არამედ არც ნილტონ სანტოსის, ვაგასა და სხვათა შემცველელები მუავდა ნაპოვნი. ასრულდა ცნობილი მწვრთნელის — ელენიო ერერას სიტყვები: თუ ბრაზილიელებს მხოლოდ პელებ იმედინა აქვთ, ისინი მსოფლიო ჩემპიონობას ვერ შეინარჩუნებენ, ხოლო თუ გარინჩა ძველებურ ფორმაშია და კიდევ ამარილდო დაემატებათ, მაშინ მათ წინ ვაღარავინ დაუდგებაო. ამარილდო ჯერ კიდევ ჩემპიონატამდე დაიმტვრა, გარინჩა კი ლანდი იყო თავისი ძველი დიდებისა.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები არც ისე ხუსტი გუნდი იყო, იგი ღირსეული მოწინააღმდეგე იქნებოდა რომელიც ვნებათ ეროვნული ნაკრებისა. ბედმაც ითამაშა თავისი როლი. როცა ისინი პორტუგალიის წინააღმდეგ გამარჯვების რწმენით აღსავსენი გამოვიდნენ, მანგამ თამაშის დასაწყისშივე დაუშვა მიუტოვებელი შეცდომა და ანგარიშიც 1:0 ვახდა პორტუგალიელთა სასარგებლოდ. შემდეგ კი დაამტვრის პელები რასაკვირველია, მოგებაზე ფიქრი უკვე შედგებოდა იყო. თუმცა ათმა ბრაზილიელმა მაინც აჩვენა ლამაზი და ტექნიკური ფეხბურთი.



ფაქტი ერთია, ბრაზილიის ნაკრები არ იყო ისეთი, როგორც ელოდნენ გულშემატკივრები. ბევრმა ვარსკვლავმა დატოვა მისი რიგები. ახლები კი ვერ აღმოჩნდნენ წინამორბედთა ღირსეული შემცველები. ხოლო ვეტერანები, რომლებიც კიდევ დარჩნენ გუნდში, ასაკის გამო აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ, დაკარგული ჰქონდათ სისწრაფე და რეაქცია. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა უნგრელებთან შეხვედრისას, როცა ტალახიან მინდორზე უნგრელებმა სისწრაფეში ისინი საგრძნობლად დაჩაგრეს. ფეოლა ადრე წერდა, გარინჩამ კარგადაც რომ ვეღარ ითამაშოს, მოედანზე მისი მარტო გამოჩენაც თავის დასაცემს მოწინააღმდეგის მცველებსო. ფეოლა ამაში მწარედ მოტყუვდა. რვაწლიანი ბატონობის შემდეგ ბრაზილიამ ფარხმალი დაუარა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ბრუნული
ბიბლიოთეკა
ტროპიკული
ორანჟერია

ბანაწყინებული ბინერალი

1861-85 წლებში ამერიკაში, სამხრეთისა და ჩრდილოეთის შტატებს შორის მძაფრი სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული. ამ ხანებში ამერიკის პრეზიდენტმა აბრამ ლინკოლნმა გამოაცხადა ბრძანება, რომელიც მხედართმთავრებს ავალბდა სისტემატურად გამოეგზავნათ თეთრ სახლში დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ფრონტზე.

ამ ბრძანებამ, ცოტა არ იყოს, გაანაწყენა პატივმოყვარე გენერალი მაკლენანი: თეთრ სახლში მან მეორე დღევე გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვაშინგტონი, პრეზიდენტ აბრამ ლინკოლნს. ფიცხელი ბრძოლის დროს ხელთ ვიგდეთ ექვსი ძროხა. გვიბრძანეთ როგორ მოვიქცეთ. ჯორჯ მაკლენანი“.

პრეზიდენტმა გენერალს დაუყოვნებლივ გაუგზავნა საპასუხო დეპეშა — „მოწყველეთ!“



ეს მოხდა ლექსის დროს

ლონდონელმა ფსიქოლოგმა, პროფესორმა ჯ. ბარტლიმ არაერთი შრომა მიუძღვნა იმის მტკიცებას, რომ ყველა ადამიანს შეუძლია სისტემატური ვარჯიშის შედეგად ისე განავითაროს თავისი მეხსიერება, რომ არაფერი არ ავიწყდებოდეს. ერთ დღეს ბარტლიმ სწორედ ამ თემაზე კითხულობდა ლექციას. პირველი საათი დამთავრდა. შესვენებაზე რომელიღაც ნუშარა სტუდენტმა პროფესორს თვალსა და ხელს შუა ააცალა ფურცელი, რომელშიც ლექციის თეზისები იყო ჩამოწერილი. საგონებელში ჩავარდნილი პროფესორი ჭირის ოფლში გაიწურა, ბევრი იფიქრა, მაგრამ მინც ვერ გაიხსენა სად შეჩერდა და რაზე გაეგძქლებინა საუბარი.

„იჩქარეთ, შეიძინეთ!“

ფურხანდ „სეტერდვი რევიუს“ (აშშ) ფურცლებზე გამოქვეყნებულია ასეთი განცხადება:

„ჩვენი სურვილია მოგცეთ რჩევა, თუ რა წიგნები უნდა შეიძინოთ საკითხავად. ამასთან გაცნობებთ, რომ ამ წიგნების ფასი შემცირებულია. მაღალი ღირებულება შეგიძლიათ იყიდოთ:

1. პორნოგრაფიის ისტორია (საუცხოოთ ილუსტრირებული მიმოხილვა პორნოგრაფიის სტილის ცვლილებებისა უძველეს ხანიდან დღემდე). ეს წიგნი 4 დოლარის ნაცვლად ახლა ღირს 1 დოლარი და 96 ცენტი.

2. საღიში კინოში (პოლივუდის ფილმების მთლიანი ექსპოზიცია 256 ილუსტრაციით. ლამაზი გამოცემა). ღირს 1 დოლარი, 5 დოლარისა და 96 ცენტის ნაცვლად.

3. სექსუალური დანაშაულებანი ისტორიაში (საუკეთესო გამოცემა. ბორჯიას ოჯახის საიდუმლო, მედიკების ვნებათაღლევა, მოქმედობების ეროტიკა). ფასი 5 დოლარი და 96 ცენტი, ნაცვლად 9 დოლარისა და 96 ცენტისა.

4. სექსი და სიყვარული ბიბლიაში. მხოლოდ 1 დოლარი და 49 ცენტი, 4 დოლარის ნაცვლად“. კომენტარები, როგორც იტყვიან ხოლმე, ზედმეტია.



ზევისის სურათი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ კემდენის საშუალო სკოლის მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა, რომ დაეხატათ ბერძენთა მთავარი ღმერთის — ოლიმპოს მბრძანებლის ზევსის სურათი, ისე როგორც მათ გონებაში მყავდათ წარმოდგენილი. ექვსმა მოსწავლემ ზევსი დახატა ბრიჯით და კოვბოური ქუდით, ხუთმა მოსწავლემ ზევსი წარმოსახა ოლიმპოს მთაზე, იგი სავარძელში ჩამჯდარი უცქერის ტელევიზორის ეკრანს. სამმა მოსწავლემ ზევსი ანტიკური ეპოქის ფანტასტიური ვერტმფრენის საჭესთან მიმჯდარი დახატა.

ერთმა მოსწავლემ მასწავლებელს სუფთა ფურცელი გაუწოდა. „ამ ფურცელზე ზევსია დახატული, მაგრამ, როგორც ვიცით, ღმერთის დანახვა შეუძლებელია!“ — განმარტა მან.

ყველაზე მარჯვი კონტრაბანდისტები

როგორც მესაზღვრეები, ისე მოხელეები საბაჟოებისა, რომლებიც განლაგებულია ალპებში სენგოტარდისა და სენ-ბერნარის მთების გადასასვლელებში, ფრიალ შეაწუხა იმ ამბავმა, რომ ბოლო ხანებში კონტრაბანდისტებს თავისუფლად გადაქონდათ საქონელი. მათი შეპყრობა ვერ მოეხერხებინათ. ბოლოს გამოირკვა, რომ ამ სამარცხვინო ბიზნესს ძალები ეწეოდნენ. თურმე კონტრაბანდისტები ძალებს ზურგზე ამავრებდნენ ტომრებს, რომლებიც თანავარი დეფიციტური საქონლით იყო სავსე. ღამით, ნისლიან თუ წვიმიან ამინდში, ძალები შეუმჩნევლად მიიპარებოდნენ საზღვართან, მოხერხებულად უფლიდნენ გვერდს ჩასაფრებულ გუშაგებს და ზურგზე მიმაგრებული ტომრები თითქმის ყოველთვის უფრებლად ჩაქონდათ დანიშნულ ადგილზე.



სახელის უკვდავყოფა

კამბოჯის დედაქალაქ პნომ-პენის ყოველ მოქალაქეს შეუძლია ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ნებართვა მიიღოს, რომ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას თავისი სახელი უწოდოს. ამ უფლების მისაღებად საჭიროა მოქალაქემ თავისი სახსრებით მოუაროს და კეთილმოაწყოს ეს ქუჩა.

გარეკანის პირველ გვერდზე: შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. პლაკატი დინარა ნოდარსი და თენგიზ სამსონაძისა. მეოთხე გვერდზე: რუსთაველის პორტრეტი „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერიდან.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნიკური დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე. რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კპპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VIII-66 წ. გამომც. № 138, ქალ. ზომა 70x108¹/₂, 1,5 ქად. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 30.000. შეკვ. № 2960, უც 11409

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



სერაფიმი

ფოტო თარხან არჩვაძისა.

